

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნარგული ბოლქვაძე

დიდაქარის ხეობის ტოპონიმია

ქართველური ენათმეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: მ. რიუვაძე - ფილოლოგიის

აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ტოპონიმთა სტრუქტურული და სემანტიკური კლასიფიკაციის ზოგადთეორიული საკითხების კვლევა ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. დღევანდელ დონეზე უპირველეს ამოცანას ცალკეულ ეთნოგრაფიულ მხარეთა ტოპონიმის გამოვლენა-შესწავლა წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევის განსაკუთრებული შედეგები ჯერჯერობით არ გვაქვს.

ნარგული ბოლქვადის ნაშრომი „დიდაჭარის ხეობის ტოპონიმია“ მიზნად ისახავს დიდაჭარის ხეობის ტოპონიმთა აღრიცხვას და გარკვეული ენათმეცნიერული ანალიზით გამოკვეთა-დაზუსტებას, საკითხის შესწავლისას გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, არეალური და სტრუქტურული კვლევის მეთოდები, ხოლო საკვლევ მასალას წარმოადგენს დიდაჭარის ხეობის შესახებ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული მონაცემები, აგრეთვე ინფორმატორთაგან ჩაწერილი მასალები.

სულ საკვლევ ტერიტორიაზე მოძიებული ტოპონიმების რიცხვი სამასზე მეტია. მოძიებული მასალის საფუძველზე წარმოების თვალსაზრისით, გამოყოფილია სამი ძირითადი ჯგუფი: 1. მარტივი უაფიქსო სახელები; 2. აფიქსებით ნაწარმოები სახელები; ა) პრეფიქსური წარმოების; ბ) სუფიქსური წარმოების; გ) პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები 3. თხზული ტოპონიმები.

ნაშრომი მოიცავს: ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე, ორ თავს, ოთხ პარაგრაფს, დასკვნებს და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

Annotation

Research of general theoretical issues of structural and semantic classification of toponyms is currently intensely conducted both in us and abroad. Nowadays, the primary task is to identify and study toponyms of individual ethnographic parts of the country. We have no special results in this regard yet.

Narguli Bolkvadze's work "Toponyms from Didachara Valley" aims to record the toponyms of the Didacharis Valley and reveal them from certain linguistic point of view. While studying the issue the descriptive, historical-comparative, areal and structural research methods have been used and the study material is presented with the written sources and scientific literature on the Didachara Valley, as well as the materials, we have got from the local informers.

The total number of toponyms collected in the study area is more than three hundred. In terms of conducting, based on the obtained material, three main groups are distinguished: 1. Simple names with no affixes; 2. The names formed with affixes: a) formed with prefixes; b) formed with suffixes; 3. Compound toponyms.

The work includes: annotation in Georgian and English languages, two chapters, four subchapters, conclusions and the list of literature used.

შესავალი	5
თავი I ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი	
§1. პრეფიქსებით ნაწარმოები სახელები	12
1.1 ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმები	12
1.2 სა- პრეფიქსიანი ტოპონიმები	15
§ 2 სუფიქსური წარმოება	21
2.1. -ურ სუფიქსიანი წარმოება	21
2.2 -იან სუფიქსიანი წარმოება	23
2.3. -ებ სუფიქსიანი წარმოება	24
2.4 -ეთ სუფიქსიანი წარმოება	29
2.5 -ნარ სუფიქსიანი წარმოება	32
2.6 -ე -ა სუფიქსიანი წარმოება	33
თავი II ტოპონიმთა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი	
§1. მარტივი, უაფიქსო სახელები	34
§2. კომპოზიტური სახელები ტოპონიმებში	44
დასკვნები	54
გამოყენებული ლიტერატურის სია	56

შესავალი

ნებისმიერი ენის ლექსიკურ მარაგში საპატიო ადგილი უჭირავს ტოპონიმიკას. “ტოპონიმი“ ბერძნული წარმოშობისაა და გადმოითარგმნება, როგორც ადგილის სახელი. იგი ონომასტიკის დარგია, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებებს, მათ მნიშვნელობას, აგებულებას და წარმომავლობას. ტოპონიმიკური კვლევა-ძიების მიზანია, ტოპონიმთა სარწმუნო ეტიმოლოგიის დადგენა, ხოლო წინაპირობას ცალკეული ეთნიკური ან გეოგრაფიული რეგიონის სრული ტოპონიმიკური სისტემის აღწერა წარმოადგენს. გეოგრაფიულ სახელთა მეცნიერული ანალიზით შესაძლებელია ენის ლექსიკური სიმდიდრის გამოვლენა, ისტორიის რიგი საკითხების უკეთ გაშუქება, ხალხის წარსული სამეურნეო საქმიანობისა და რელიგიური წარმოდგენების შესწავლა (ცხადაია 1985: 20). ტოპონიმი ფართო ცნებაა და დიდ თუ მცირე ადგილის, სახელმწიფოს, მდინარის, ზღვის, მთისა და მათი ნაწილების სახელწოდებათა ერთობლიობას გულისხმობს. ტოპონიმიკა მოძღვრებაა ტოპონიმთა შესახებ. ტოპონიმი ლექსიკურად ენის ერთეულია, გრამატიკულად - საკუთარი არსებითი სახელი. ტოპონიმია-მთელი ფონდი დასახლებული პუნქტების, სახელმწიფოების, მდინარეების, ტბების, ზღვების, წყაროების სახელწოდებათა ერთობლიობა სამ რკალად ჯგუფდება; გამოიყოფა მიკროტოპონიმია, საკუთრივ ტოპონიმია და მაკრო ტოპონიმია. ამ კლასიფიკაციას გეოგრაფიული და ისტორიული საფუძველი აქვს. გეოგრაფიული თვალსაზრისით, კლასიფიკაცია ობიექტის არეალსა და სიდიდე-სიმცირეს გვიჩვენებს, ისტორიული თვალსაზრისით კი, წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფოსა და დასახლებულ პუნქტთა კონტაქტებსა და მათთან დაკავშირებულ მოვლენებზე. მიკროტოპონიმიაში თავს იყრის მცირე გეოგრაფიული ერთეულის, ბუნებრივი თუ ხელოვნურად

შექმნილი ობიექტის, ერთი ან ორი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მოქცეული ადგილის, სახნავ-სათესი, საბოსტნე, სავენახე, მცირე მდინარეთა, წყაროთა, მაღლობთა, ხეობათა, ხევების, ტყეების, უბნების, ქალაქებში-ქუჩების სახელწოდებანი. აქ გვაქვს პირველადი სახელწოდებანი, რომელთაც მომხმარებელთა ვიწრო წრე იცნობს და გაუგებარი ან ნაკლებ გასაგებია საზოგადოების ფართო ნაწილისათვის. არეალის შემლუდულობა, ობიექტის ფარგლების სიმცირე- აი, მთავარი ნიშან-თვისებანი მიკროტოპონიმისა.

სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით, საქართველოს ცალკეული კუთხეები თუ მუნიციპალიტეტები ყოველთვის იპყრობდა ქართველი ისტორიკოსების, ეთნოლოგების, არქეოლოგების, გეოგრაფებისა თუ ენათმეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას. კვლევის შედეგები არა ერთ ნაშრომში აისახა. პირველ რიგში, ეს ითქმის ტოპონიმიკურ მასალაზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ისტორიული წარსულის ცალკეული ეტაპებისა თუ ეპიზოდების შესწავლისას. სამეცნიერო ლიტერატურის სახით ჩვენ ვეცნობით ცალკეულ გამოკვლევებს, სადისერტაციო შრომებს და ტოპონიმიკურ ლექსიკონებს, თუმცა ტოპონიმიკური კვლევა-ძიების მიმართულებით, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მზარდი ინტერესის მიუხედავად, ბევრი საკითხი მომავალში უფრო დაკვირვებულ განხილვა-გაანალიზებას მოითხოვს. ტოპონიმთა სტრუქტურული და სემანტიკური კლასიფიკაციის ზოგადთეორიული საკითხების კვლევა ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. დღევანდელ დონეზე უპირველეს ამოცანას ცალკეულ ეთნოგრაფიულ მხარეთა ტოპონიმიის გამოვლენა-შესწავლა წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევის განსაკუთრებული შედეგები ჯერჯერობით არ გვაქვს. სანამ ხელთ არ გვექნება საქართველოს ყველა კუთხის ტოპონიმიური მასალა, მანამ ყოველი თეორიული განზოგადება სადავო იქნება. მომავალში სხვადასხვა მხარის ტოპონიმიური მასალის ურთიერთშეჯერების წყალობით შესაძლებელი იქნება გამოვლინდეს ქართული ტოპონიმიის სტრუქტურა, სემანტიკური ჯგუფები, ტოპონიმების გავრცელების არეალი, შედარებით სარწმუნო ეტიმოლოგიები, დიალექტური და ისტორიული

ლექსიკა. ამის შემდეგ გამოიკვეთება ქართული ტოპონიმის სახე ზოგად-თეორიული თვალსაზრისით. ასევე დიდია ტოპონიმთა შესწავლის მნიშვნელობა ზოგადი და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. ენის ისტორიისათვის, განსაკუთრებით, ისტორიული ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიისათვის. ისტორიული წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროების მონაცემთა, აგრეთვე დღემდე გამოქვეყნებული ტოპონიმური მასალის დეტალური გაანალიზება გვებმარება ქართველურ ონომასტიკასთან დაკავშირებული ფონემატური სტრუქტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის დაზუსტებაში.

რამდენ ხანს ცოცხლობს ტოპონიმი? ტოპონიმი დიდხანს ცოცხლობს. მისი ისტორია ბევრად უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. დამწერლობამდელ ეპოქაში იხმარებოდა სამივე რკალის (მაკრო-, მიკრო- და საკუთრივი) ტოპონიმები, მაგრამ საისტორიო წყაროებს უფრო მაკრო- და საკუთრივტოპონიმები შემორჩა, მიკროტოპონიმები კი უმთავრესად ხალხის ხსოვნამ შეინახა და თაობიდან თობას გადასცა. ამიტომ ყველაზე ნაკლებ გამძლე ტოპონიმთა სწორედ ეს რკალი აღმოჩნდა. მაკრო- და საკუთრივ ტოპონიმთა ძირითადი ფონდი მეტ-ნაკლებად აღიბეჭდა წერილობითს წყაროებში. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, უძველესი საისტორიო თხზულებანი, რომელთა გვირგვინს „ქართლის ცხოვრება“ შეადგენს, გეოგრაფიული აღწერილობანი და სიგელ-გურჯები ამის უტყუარი მოწმეებია. რაც შეეხება მიკროტოპონიმთა უძველეს ფონდს, მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შემორჩა საისტორიო და საგეოგრაფიო ძეგლებს.

ტოპონიმებთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი - რა არის ტოპონიმის მნიშვნელობა? ტოპონიმის მნიშვნელობა მდგომარეობს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტზე მითითებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმთა ანალიზით შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ენის ლექსიკურ და სიტყვანარმოებით სისტემათა გამოვლენა. ამიტომ ტოპონიმური ჯგუფის ანალიზს, შესაბამის კერძო საკითხთა (ეტიმოლოგია, წარმოშობა-ისტორია და სხვა) განხილვას თან უნდა ახლდეს ცდა ზოგადი სიტყვანარმოებითი, სემანტიკური ან სხვა სახით კლასიფიკაციისა, რაც აუცილებელია

იმისათვის, რომ გამოიკვეთოს ტოპონიმიკური ტიპი და განისაზღვროს მისი სპეციფიკა და სტრუქტურა.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ხულოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი, ისტორიული თვალსაზრისით გამორჩეული, სოფლის-დიდაჭარის ხეობის ტოპონიმთა აღრიცხვა-შესწავლა. ტოპონიმის წარმოქმნის გზებისა და სტრუქტურულ-სემანტიკურ თუ ფონეტიკურ კანონზომიერებათა მთლიანობაში განხილვის ცდა. კვლევა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადად აჭარულ დიალექტში და მოცემულ შემთხვევაში ზემო აჭარის ტოპონიმიაში დაცულია საკმაოდ არქაული ფორმები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ერის ისტორიის გასათვალისწინებლად, (მაგალითისათვის ტერმინ „დიდაჭარის“ ეტიმოლოგიაც გამოდგება, რომელზედაც ვრცლად გვეყენება ქვემოთ საუბარი). ყურადღებას იქცევს ასევე საერთო მოვლენები ზანურთან: მაგალითად: რედუქციის სისუსტე სახელთა ბრუნებისას, სხვა ფონეტიკური პროცესები.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენს ძირითად მიზნად ვისახავდით, ტოპონიმთა კომპლექსური ენათმეცნიერული ანალიზით გამოგვეკვეთა და დაგვეზუსტებინა, თუ რა პროცესებს ჰქონდა და აქვს ადგილი დიდაჭარის ხეობის ტოპონიმთა წარმოქმნისას. საკითხის შესწავლისას გამოყენებულია აღწერიითი, ისტორიულ-შედარებითი, ტიპოლოგიური, არეალური და სტრუქტურული კვლევის მეთოდები, ხოლო საკვლევ მასალას წარმოადგენს დიდაჭარის ხეობის შესახებ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული მონაცემები, აგრეთვე ინფორმატორთაგან ჩვენ მიერ ჩანწერილი მასალები.

აჭარა საქართველოს ის უძველესი კუთხეა, სადაც მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა ა. წ. I ს. აღავლინა ლოცვა-კურთხევა და იქადაგა ახალი, ჭეშმარიტი და პროგრესული რელიგია-ქრისტიანობა. მას თან ახლდა თანამოღვაწეები - სვიმონ კანანელი და მატათა. საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა. სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვდართა შორის მის ქალაქისათა.

განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისა, რომელსა დიდ აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა“.

საინტერესოა გადმოცემა, რომელსაც აქაური მკვიდრი უხუცესები მოგვითხრობენ: ადრე აჭარას მისი რელიგიური მდგომარეობის გამო ჰრქმევია **წარეხევი**, მოგვხსენებთ, რომ იგი არის ციცაბო კლდეებით შემკული, ადრე გზა არ იყო ისეთი, როგორც ახლა არის და სავლელად იყო ძალიან საშიში, ასევე საომრადაც რთული იყო. ერთ-ერთი მეომრის გადმოცემით, **წარე** ანუ რთული უწოდეს გასავლელად და იწოდებოდა წარეხევად. ტრაპიზონიდან გამოსული ანდრია პირველწოდებული შემოვიდა ქუეყანასა მასსა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების და იწყო სახარების ქადაგება. დიდაჭარა, პირველი საუკუნიდან ცნობილია, როგორც ქრისტიანული სოფელი. აქ მობრძანებულმა ანდრია პირველწოდებულმა ააშენა ნაკაფში საყდარი. I საუკუნეში იესო ქრისტე 32 წლის აწამეს. ანდრია პირველი კაცი იყო იესო ქრისტესი, მარიამი ავად იყო და იესომ დედის წილხვდომილ ქუეყანაში ანდრია ადგილას გამოაგზავნა. აქ მოსულია ჩვ. წელთ აღრიცხვის შემდეგ 32-50 წლებში. ილია მეორემ თქვა; დიდაჭარიდან მოექცა საქართველო ქრისტიანულ სარწმუნოებასო (მთქმელი როსტომ წულუკიძე).

ჩვენი მეზობელი სოფლები სამგვარად მოიხსენიებენ დიდაჭარას; დედეჭარა, დიდაჭარა, დედაჭარა- ამ კომპოზიტში სამივე შემთხვევაში პირველი ნაწილი არის დედა, როცა ვამბობთ, დიდაჭარა კოლხურად დიდა დედას ნიშნავს, დედე სვანურად დედას ნიშნავს, ანუ ყველანაირად დედას ნიშნავს. პირველი ნაწილი აუცილებლად დედასთან არის დაკავშირებული. ჭარ ჩვეულებრივ წერასთან არის დაკავშირებული აი ასე ვღებულობთ დიდი წერა, დიდი ჭვარი (მთქმელი თამაზ წულუკიძე).

საქართველოში რამდენიმე აჭარა გვაქვს: ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის (აჭარისაღმართი-სოფელი), შუახევის და ხულოს (სოფელი დიდაჭარა) რაიონებში. ასევე, სოფელი ცაგერის რაიონში, სოფელი ზესტაფონის რაიონში. ფორმობრივ - სემანტიკურად **აჭარ**-ფუძესთან უნდა იყოს კავშირში სოფლების აჭის და აჭისთავის სახელებიც. ჯანაშიას აზრით, **აჭ** -არის ამოსავალი **აჭარა** ფუძისთვის. ჯანაშიასვე აზრით, **აჭის** სახელი განზოგადდა მათათა სისტემისათვის და მთელი მხარისთვის.

აჭარ- ფუძის ეტიმოლოგიის შესახებ ორი საყურადღებო მოსაზრება არსებობს: ერთის მიხედვით, **აჭარ-** უკავშირდება „წყალს“, „სისველეს“ (მ.ჯანაშვილი, გ. ბედლოშვილი...), მეორის მიხედვით კი- ერთ-ერთ ქართველური თემის სახელს -**ჭანს** (ინგოროყვა). სიხარულიძის აზრით, ტოპონიმი **აჭარაც** და ეთნონიმი **ჭანიც** წყალს უკავშირდება.

დამაჯერებელი ეტიმოლოგია გულისხმობს როგორც ფორმობრივ, ასევე სემანტიკური ცვლილების ლოგიკურ დასაბუთებას. ვფიქრობთ, პირველი მოსაზრების ავტორები მართებულ სემანტიკურ კავშირს ვარაუდობენ, მაგრამ პრობლემურია მათი ფორმობრივი ანალიზი (პრეფიქსი, სუფიქსი, თუ ძირი). პავლე ინგოროყვას მსჯელობაში დამაჯერებელია პრეფიქსის და ფუძის მიმართება, ხოლო სიხარულიძე, მიგვაჩნია, სწორად გამოყოფს კონფიქსს, მაგრამ ბუნდოვანია -არ სეგმენტის კვალიფიკაცია (დიდაჭარობა 2008:84-86)

ტარიელ ფუტკარაძე მიიჩნევს, რომ აჭარა სიტყვის სეგმენტაცია შემდეგნაირად უნდა მოხდეს: “ა-ჭარ-ა-ში ა- -ა დანიშნულების მანარმოებელი კონფიქსია. სავარაუდოა, ამ პრეფიქსს საერთო ქართველურში პარალელური ვარიანტები ჰქონდა: ა-, სა-/ჰა- შდრ.: ზან.: ო-; სვან.: ჰა- (ჰა-ყბა „ლოყა“ შდრ.: ყაბ „წვერი“: ჰაყბა, სიტყვასიტყვით: “საწვერე”); შდრ., დგას და ადგილი, ჩრდილი და ა-ჩრდ-ილ-ი, ბანს და ა-ბან-ო... შდრ.,ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე: ა- პრეფიქსი შეიძლება წარმოდგენილი იყოს -ო სუფიქსთან ერთად.

ჭარ- წყლის, სითხის აღმნიშვნელი ფუძე, რომლის საერთო ქართველური ფონეტიკური შესატყვისები ჩანს *ჭა,* ჭარი, *ჭალი, *წყარი, *წყალი, *წყარი , *წალი *წური... კერძოდ, შდრ.რეალიზებული ქართველური ვარიანტები:

*ჭა; სამნიგნობრო ქართ. ჭა, ზან. ინჭა....

*წალი, *წარი სალიტერატურო ქართ. “წყლულთა განნადუნები, ვითარცა წყალი (საბა); ზან. ჭოლ-// ჭორ-

* ჭარი/ *ჭალი სალიტ ქართ. ჭარო “ჭაობი“. ჭარო/ჭარი (ფრინველი. ქორს ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს. საბა.). ვფიქრობთ, ჭარო-ს არც ფორმობრივი და არც სემანტიკური კავშირი არა აქვს წეროსთან (ჩუხუა); შდრ.

რაჭული ჭარი- „ნოტიო ადგილი“, ლეჩხუმური ჭარო შდრ. ზან.: ჭორ-ოფ-ა „ავდრიანობა“, ჭორ-ო-ხ-ი „წყალუხვი“...შდრ. ჭოუი, თუმცა არ გამოირიცხება ამოსავალი იყოს საერთო ქართველური *წარ-/ *წალ- აგრეთვე ზანური ჭოლო „ჭყინტლი“, ჭაობიანი ადგილების აღმნიშვნელი ტოპონიმები: ჭოლო, ჭოლნარი, ჭოლონი...

ფორმობრივ-სემანტიკურად ჭარ-/ჭალ-, წყალ- ფუძეებს ჰგავს, როგორც საშუალო სპარსული ჭალა „ჭა“ (შდრ., სვან. ჭალა-დიდი მდინარე-მ.ანდრონიკაშვილი), რაც გვავარაუდებინებს, რომ წყალ-/ჭარ- ფუძე უძველესი ფენის მონაცემია..

მოსალოდნელია, ა-ჭარ-ა სიტყვაც ამ სემანტიკას შეიცავს: ა-ჭარ-ა- წყალუხვი, წყლებით მდიდარი ადგილი და არა: სა-ჭან-ე (დიდაჭარობა 2008: 85).

რატომ დაერქვა აჭარის მხარის ერთ-ერთ სოფელს დიდი აჭარა (აქედან დიდაჭარა)? შესაძლოა სამგვარი ახსნა მიეცეს ამ კითხვას:

- სახელმდებელთათვის ცნობილი იყო ერთ არეალში არსებული რამდენიმე წყლიანი ადგილი, რომელსაც აჭარა ერქვა; ამათგან, მათი თვალთახედვით ყველაზე მეტად წყლებით მდიდარი იყო ამჟამინდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი. შესაბამისად, ამ წყალმდიდარ სოფელს დაარქვეს დიდი აჭარა; სიტყვასიტყვით- დიდად წყლიანი....

-ადგილობრივ მკვიდრთათვის ცნობილი იყო რამდენიმე დასახლებული პუნქტი სახელად-აჭარა; ამათგან ზემო აჭარის სოფელი აჭარა სხვებისგან გამორჩეული იყო სიდიდით- მოსახლეობის სიმრავლით; შესაბამისად, დაარქვეს დიდი აჭარა.

- აჭარის სახელით საქართველოში ცნობილი იყო რამდენიმე დასახლებული პუნქტი; ამათგან უამთაალმწერლისთვის ზემო აჭარის სოფელი აჭარა სხვებისგან გამორჩეული იყო სულიერი სიდიდით: აქ ხომ მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ტაძარი აშენდა...

შესაბამისად, მემატიაანემ ამ სოფელს დაარქვა დიდი აჭარა. შემდგომში ეს სახელწოდება ხალხშიც გადავიდა. როგორც წესი, სოფლის სახელწოდებად ზოგადდება მიკრო ტოპონიმის გვარი იმ შემთხვევაში, როცა ტოპონიმებს მხოლოდ

ზედსართავი სახელი აწარმოებს, ასეთი დასახლებული პუნქტები გვერდი გვერდ მდებარეობენ. შდრ., მაგ.; ზედა ტომაშეთი, ქვედა ტომაშეთი, დიდი ჭიხაიში, პატარა ჭიხაიში... თუმცა გვერდი გვერდ კი არა, გურია-აჭარის მთელ რეგიონში არ გვიდასტურდება მეორე სოფელი აჭარის სახელით... შესაბამისად, ნაკლებ ლოგიკურია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას „დიდი“ სიტყვით განესაზღვრათ მისი ხედვის ველში არსებული ერთადერთი აჭარა (თუმცა, არ გამოირიცხება, რომ იქვე არსებობდა „პატარა აჭარაც“, რომელიც დროთა განმავლობაში დიდს შეუერთდა, ან დაიკარგა...).

თავი I

ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი

დიდაჭარის ხეობის ტოპონიმური ფონდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ა) ქართული ტოპონიმები;
- ბ) ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები;
- გ) საერთო ქართველური წარმომავლობის ტოპონიმები;
- დ) გაურკვეველი სემანტიკის ტოპონიმები.

ტოპონიმთა წარმოება ხდება სპეციალური, ოდენ ტოპონიმთა წარმომქმნელი აფიქსების, ანუ ტოპოფორმანტების საშუალებით.

§1. პრეფიქსებით წარმოები სახელები

1. 1 ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმები

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, ტოპონიმთა ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულ ტოპონიმიაში ნაკლები სიხშირით ხასიათდება. ქართველურ ენებში ნა-უძველესი და მრავალფუნქციური პრეფიქსია. გამოიყენება როგორც ზმნურ,

ისე სახელურ სიტყვათწარმოებაში: ზმნათაგან აწარმოებს ნამყო დროის მიმღეობას, ხოლო სახელთაგან - წინა ვითარების სახელებს (ჯორბენაძე 1988: 315). არსებობს მოსაზრება, რომ ქართველურ ენებში თავდაპირველად გავრცელებული იყო ოდენპრეფიქსული წარმოება, ხოლო პრეფიქს-სუფიქსური წარმოება მეორეულია. როგორც ჩანს, წინა ვითარებას გამოხატავს მხოლოდ ნა- პრეფიქსი, სუფიქსები კი ერთი ფუნქციისანი არიან და, ჩვეულებრივ, შეიძლება მათი მონაცვლეობა. იკვეთება კანონზომიერება, რომ ნა-პრეფიქსი მიმღეობურ ფორმებში უფრო ხშირია, წინა ვითარების სახელებში კი - შედარებით ნაკლები. ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ მოძიებულ ტოპონიმურ ერთეულებში ძალზე იშვიათია ოდენ ნა-პრეფიქსით წარმოქმნილი სახელები.

ნა-კაფი - ტყე, საძოვარის ადგილის სახელწოდებაა, ნათლად ჩანს ეტიმოლოგია: წარსულში ტყე ყოფილა და შემდეგ გაუკაფავთ საძოვრისათვის.

ნა-მწვი - ტყის ერთ-ერთი უბანი, საძოვარი.... როგორც გვიყვებიან აქაურ უხუცესები, აქ ტყის მასივს მეხი დაეცა ცეცხლი გაუჩნდა და გადაიწვა. სახელწოდებაშიც დალექილა ეს ფაქტი.

ნა-გუთნი - სათიბი ადგილის სახელწოდებაა. სავარაუდოა, გუთანს უკავშირდებოდეს.

ნა-ფლატი - სათიბი ადგილი.

დასახელებულ ფორმებში ნაკაფი და ნამწვი წარმოადგენს მიმღეობურ ფორმებს, ხოლო ნა-გუთნი - წინა ვითარების სახელს.

ჩვეულებრივ, დიდაჭარის ხეობის ტოპონიმთა შორის ნა- პრეფიქსთან უფრო ხშირად იხმარება -არ//-ალ სუფიქსი:

ნა-ქერ-ალ-ი - ტყე. სახელწოდებაში ჩანს კავშირი ქერ ძირთან.

ნა-ორმ-ალი -ტყე//საძოვარი. მისი მდებარეობა განსაზღვრავს სახელწოდებას. ეს ისეთი ადგილია, სადაც თავის შეფარება - დაცვა არის შესაძლებელი. ერთგვარი ხევია, სადაც გზიდან გამვლელი ვერ შეგნიშნავს, აქვეა ორმოები, რომელშიც ჩანოლა და დამალვა არის შესაძლებელი. გადმოცემის თანახმად, ადრე, ომიანობის დროს, აქ აფარებდნენ თავს ხან მეომრები და ხან ადგილობრივი მოსახლეობა, მისი

რელიეფური მდგომარეობის გამო. გვაქვს ასევე მიკროტოპონიმი **ნა-ომე-არ-ი**, რომელიც საძოვარს წარმოადგენს.

ნა-კორდ-ალი - საძოვრის სახელწოდებაა. ადვილად ამოიცნობა კორდ ძირი.

ნა-ოსპ-არი - დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს.

ნა-ინვა-არ-ი - სათიბია. ქვებზე არის ის, (თარანთუას ვუძახდით ადრე), ბავშვობაში დავაფურთხებდით მივტანდით ქვას ქვაზე ვურაკუნებდით, ვურაკუნებდით და მივიღებდით მწვანე საღებავს. რომლითაც ხელებს ვიღებავდით, ქვებზეა ის. სპოროვანი მცენარეა ბავშვობაში ზიკაკოსაც ზიკაკო კაკაი მომე ხელი შიმიღებე-ვმღერობდით, ინა (მთქმელი რამინ შავაძე).

ნა-ყორნ-ალ-ი -ტყის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა.

ნა-ლუმე-არ-ი - საძოვარი.

ნა-ციციცელვ-არ-ი შ. ნიჟარაძის განმარტებით, ციციელ-ი (← ცისიერი) მეხი. (ნ. ს ა ბ ა ცისიერი, მ ა რ ი იმერხ.: „ლალუმი რომ გვექნიე, ესკერს ეგონა ც ი ს ი ე ლ ი). (შ. ნიჟარაძე 1971).

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება **ნა-ევ** წარმოებიანი ტოპონიმები. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ **ნა-ევ//ნა-ებ** სუფიქსების მონაცვლეობა ხდება საზოგადო სიტყვათწარმოებაში და ტოპონიმიშიც. ქამადაძე წერს: „ზემო აჭარულ მეტყველებაში მრავლობითის **-ებ** სუფიქსი განსაკუთრებული ინტენსივობით ხასიათდება. ეს ვითარება აისახება მხარის ტოპონიმიშიც“ (ქამადაძე 1992: 32). **-ებ** ფორმანტის ძირითადი ფუნქცია მრავლობითობის აღნიშვნაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი მიგვანიშნებს სახელდებული ტოპონიმის არა სიმრავლეზე, არამედ სიდიდეზე. აკაკი შანიძე წერს, რომ „ზოგიერთი სახელი მრავლობითი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარ აქვს; განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში: რკონი, მსხლები, კოშკები, ქვები... მოწამეთა, ჩხიკვთა, ცაბაურთა და სხვა“ (შანიძე 1973: 80). ასეთი ტიპის ფორმებში **-ებ** სუფიქსი ფუნქციურად თავისუფლად ენაცვლება **-ევ-ს** და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მისი ფარდობაა. **-ევ//-ებ** სუფიქსების ასეთი პარალელიზმების ძირითად მიზეზად

მიჩნეულია ვნებითის ნამყო დროის ნა- პრეფიქსიანი მიმღეობის და წინა ვითარების სახელების სემანტიკური სიახლოვე. რას გამოხატავს -ებ სუფიქსი ამ შემთხვევაში? ფუძით გამოხატული საგნის სიმრავლეს თუ იგი -ევ სუფიქსის მონაცვლეა? არ გამოირიცხება ის გარემოება, რომლის თანახმად ოდენ -ებ არის მატოპონიმებელი სუფიქსი შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ხეობის ფარგლებში მოძიებულ მასალაში დასტურდება მხოლოდ ერთი -ებ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში ნათლად ჩანს მისი კვალი :

ნა-ჩოტ-ევ-ი - „ყ ა ვ რ ი ს ჩ ო ტ ი ყავრის გახდისას ჩამონახეთქი უვარგისი ნაწილი, - ნაგვერდული, ყავრის ნაჭერი“ (შ. ნიუარაძე 1971).

ნა-ხაზარ-ევ-ი - საძოვარი.

ნა-ბოსტნ-ევ-ი - სათიბი.

ნა-ვენახ-ევ-ი - სათიბი. „ნავენახევს ეძახიან რატომ იცი? ადრე თურქების მოსვლამდე თურმე მაქ ვენახი ყოფილა“ (მთქმელი შოთა წულუკიძე).

ნა-ათრ-ევ-ი - საძოვარი.

ნა-ოჭიარ-ევ-ი - ტყე//საძოვარი.

ნა-ქილის-ევ-ი - სათიბ//სათესი, სახელწოდებაში დაღეჭილა თურქიზმი, ქილისე ეკლესიას ნიშნავს.

ნა-ყიშლ-ევ-ი - სათიბი.

ნა-მასკლ-ევ-ი - ტყე//სათიბი, სოფლის მაღალი მთა, მწვერვალი.

ნა-კალუ-ევ-ი (ნა-კალო-ევ-ი) - საძოვარი, ადვილი წარმოსადგენია, რომ კალო ფუძესთან არის დაკავშირებული.

ნა-ჯავახურ-ევ-ი (ნა-ჯავახორ-ევ-ი) - ტყე.

ნა-ოღი-ევ-ი - სათესი//სათიბი.

ნა-გუთნ-ებ-ი, სათიბი ვფიქრობთ, აქ -ევ სუფიქსის მონაცვლეა.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ, რომ დიდაჭარის ხეობაში საკმაოდ მცირეა ოდენ ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმები. მოცემული პრეფიქსი გართულებულია - არ//ალ და უფრო ხშირად კი -ევ//ებ სუფიქსებით (-ებ ერთ სახელწოდებაში ჩანს მხოლოდ).

1. 2 სა- პრეფიქსიანი ტოპონიმები

სა- ისევე, როგორც ნა- უძველესი პრეფიქსია ისიც ორმაგი ფუნქციისაა: სახელურ სიტყვათწარმოებაშიც მონაწილეობს და ზმნურშიც. ორივე შემთხვევაში წარმოქმნილი სახელები სემანტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგას - გამოხატავს კუთვნილებას. მოძიებული მასალა გვაძლევს წარმოდგენას იმისა, რომ ოდენ სა- პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელის ფუძისაგან ან არ გვხვდება, ან ძალზე იშვიათია, ზმნური ფუძეებისაგან შედარებით პროდუქტიულია. „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ამომწურავადაა წარმოდგენილი აღნიშნული აფიქსის გამოყენების ასპექტი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სა- პრეფიქსი დამოუკიდებელივ ან ზოგად სუფიქსთან ერთად აწარმოებს: 1. ზმნის ფუძისაგან მყოფადი ღროის საობიექტო მიმღეობას; 2. სახელის ფუძისაგან დანიშნულების სახელებს, პირველ შემთხვევაში სა-ს ახლავს -არ (ალ), -ალ, -ულან -ო სუფიქსი: სა-წერ-ი, საკეთებ-ელ-ი, სა-მკა-ულ-ი, სა-ჩივ-არ-ი, სა-რჩ-ო... ხოლო მეორე შემთხვევაში -ე, -ო, -ურ (-ულ), არ(-ალ), სა-ყურ-ე, საქვეყნ-ო, სა-ფეხ-ურ-ი, სა-ბუდ-არ-ი.... (ჯორბენაძე 1988: 372-375).

სა- პრეფიქსთან გამოყენებულ სუფიქსებს შორის ყველაზე ხშირია -ე და -ო. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1. სა-ე გამოხატავს დანიშნულებას, კუთვნილებას; 2. სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ მას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია: საეჭიმ-ო, სა-ჯარ-ო,... 3. ამ ტიპის წარმოება ხშირად გეოგრაფიულ სახელებშია გამოყენებული (შანიძე 1953: 133). სა- პრეფიქსი, -ო, -ე სუფიქსთან ერთად, ო ქაჯაიას მოსაზრებით, დანიშნულების სახელების მანარმოებელია (ქაჯაია 2002: 576). თ. ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ სა-ე აფიქსები გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებენ მცენარეთა, ცხოველთა თუ სხვა საზოგადო სახელთაგან. სა-ო აფიქსებით კი სახელები ნაწარმოებია ეთნიკური ან საკუთარი

სახელებისაგან, გვარებისაგან ან სხვა „ვინ“ ჯგუფის საზოგადო სახელებისაგან (ზურაბიშვილი 1961: 56).

ჩვენ მიერ მოძიებული დიდაჭარის ხეობის ტოპონიმური მასალების ანალიზიც ცხადყოფს, რომ დიალექტებში უფრო გავრცელებულია სა- პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელური ფუძეებისაგან მათ შორის სამ ელემენტისა სა-.....-ე -ია წარმოება (დისიმილირებული ფორმა სა-.....-ია), რომელიც ხშირად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში ისტორიულად სა-ია და სა-იე ცირკუმფლექსებისათვის ამოსავალია სალიტერატურო ენაში გავრცელებული სა-ე პრეფიქს-სუფიქსი. როგორც ცნობილია, -ია დაბოლოება მიღებულია -ე ბოლოკიდურისა და კნინობითობის -ა სუფიქსის ფონეტიკური ურთიერთობის _ დისიმილაციის _ შედეგად: ეა> ია (ა. შანიძე 1973: 139).

სა-ია წარმოების დანიშნულების სახელები, ჩვეულებრივ, ზედსართავებია, მაგრამ შემდეგ ხდება მათი გასუბსტანტივება საზღვრულის ჩამოცილების გზით (ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა დანიშნულების სახელი, შემდგომში ტოპონიმად ქცეული, ამ გზით იყოს მიღებული). ზედსართავებია (და ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით გამოდიან).

სა-ბუზ-ია - სათიბი. ეს ადგილი მდებარეობს ყიშლაში და მას იყენებენ სახნავ-სათიბად, თუმცა ზაფხულის პერიოდში, კერძოდ კი ჭალობის დროს ვრცელდება ერთგვარი მწერი, რომელსაც აქაური მკვიდრნი ბუზს უწოდებენ, რომელიც კოლოს მსგავსად იკბინებიან, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სავარაუდოდ ამ ადგილს საბუზია ამ მწერის „ბუზის“ სიმრავლის გამო უნდა შერქმეოდა. სულხან-საბა მოიხსენიებს თავის ლექსიკონში „ბუზი (მწერი) შავი მწერი“ (ს.ს. ორბელიანი 1991). ამ განმარტებით, ერთის მხრივ გამართლებას ეძლევა ჩვენი ვარაუდი, რადგან ეს მწერი ანუ ბუზი მართლაც შავი ფერის არის. თუმცა შ. ნიჟარაძე კი ასე განმარტავს „ბუზ-ი რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ბ ა ზ ა - ბ უ ზ ი (შ. ნიჟარაძე 1971)“.

სა-ირმ-ია - სათიბი. ეს ისეთი ადგილია, სადაც მდინარე ჩაედინება თან მზის გულიც არის აქედან გამომდინარე ყიშლაში პირველად აქ დნება თოვლი, რასაც შემდგომ მოსდევს პირველად ამ მიდამოების ამწვანება და, რა თქმა უნდა, ირმები და შვლები

აქ მოდიან საბალახოდ, გაზაფხულზე, როცა მოსახლეობა ბარიდან მთაში გადადიოდა, აქ ხვდებოდათ ირმები. სავარაუდოდ, ამ გარემოებას უნდა განესაზღვრა სახელწოდება.

სა-ყავრუმ-ია (საყაურუმია) - ტყე. ადრე ჩვენთან ყველა სოფელში დადიოდა ხალხი, რომელთაც აქაური მკვიდრნი „ზირკლებს“ უწოდებდნენ, ესენი მომთაბარეები იყვნენ, ისინი არ ერიდებოდნენ მოპარვას, იპარავდნენ პირუტყვს. არც დამხრჩვალ ცხოველებზე ამბობდნენ უარს. თუ იპოვიდნენ დაკლულ ცხოველს ტყავს გახდიდნენ, ხორცს დაჭრიდნენ დაამუშავებდნენ, გახდილ ტყავში ჩაყრიდნენ ხორცს, ჩამარხავდნენ მიწაში, ზედ დაანთებდნენ ცეცხლს და ასე მოამზადებდნენ, ეს კერძი ძალიან გემრიელი იყო, რომელსაც უწოდებდნენ ჩობან ყავრუმას, ჩობანი მეცხვარეს ნიშნავს და ქართულად ვლებულობთ მეცხვარის ყაურმას. ეს ადგილი მთაში განაპირად არის და სავარაუდოდ, იქ ხშირად აკეთებდნენ ამ ყავრუმას (მთქმელი ნათელა შავაძე-წულუკიძე).

სა-წუმზ-ია - საძოვარი. მდებარეობს ყიშლაში, ბევრი ჭაობია, საკმაოდ დაღრმავებული ადგილი, წყალი დგება ყოველთვის. მაგალითად, აქაურები თუ წვიმის დროს ადამიანი დასველდება იტყვიან გეინუმპაო, ეს შედარებით სველი ადგილია.

სა-მწვან-ია - საძოვარი.

სა-ხბოვრ-ია - ფორმა საინტერესოა ენის ისტორიის თვალსაზრისით, ცნობილია, რომ ქართულში რამდენიმე სახელი ბრუნების საერთო წესს არ ექვემდებარება და ზოგიერთ თავისებურებას ამჟღავნებს. ასეთებს უწოდებენ თავისებურად ბრუნებად სახელებს. მათ შორის არის სახელი **ხბო**. ჩვეულებრივ, მხოლობითის ფუძეს დაერთვის მრავლობითის **ებ** სუფიქსი და მიიღება სახელის მრავლობითის ფორმა (ბავშვ-ი - ბავშვ-ებ-ი). მაგრამ **ხბო** სიტყვას ორგვარი მრავლობითი აქვს: **ხბორები//ხბოები**. პირველი ფორმისათვის, **ა. შანიძის** აზრით, ამოსავალია ძველი ქართულის მხოლობითი რიცხვის **ხბოვარ** ფორმა, შესაბამისად მრავლობითში იქნებოდა **ხბოვრები**, შემდეგ **ვ** დაიკარგა და მივიღეთ **ხბორები** (მდრ. მესბორე). დღეს უფრო მართებული და თანაც გავრცელებულია **ხბოები**.

შ. ნიჟარაძე თავის ლექსიკონში განმარტავს „სახბოვრე (|| ს ა ხ ბ ო ვ რ ო) ბოსელში ხბორებისათვის გამოყოფილი ადგილი ცალკე სათავსო. „ახორის ერთ-ერთ კუთხეში, ჩვეულებრივ, შესასვლელ კარებთან წნული კედლით გამოყოფილი იყო ს ა ხ ბ ო ვ რ ე“; **ს ა ხ ბ ო ვ რ ი ა** ადგილის სახელია ზემოაჭარაში“ (შ ნიჟარაძე 1971).

სა-ე პრეფიქს-სუფიქსი, როგორც ცნობილია, აწარმოებს დანიშნულების სახელებს, ე.ი. მისთვის, ჩვეულებრივ, ამოსავალია სახელური ფუძე. ამ ტიპის წარმოება გვხვდება ქართული ენის ყველა დიალექტის ტოპონიმიაში, დაწყებული მოხეურით (სა-ორბ-ე, სა-ძელ-ე, სა-ზურგ-ე....) და დამთავრებული აჭარულით. ჩვენ მასალაში დავადასტურეთ შემდეგი ფორმები:

სა-კარ-ე - დასახლებული პუნქტი. შეიძლება საკირე იყოს.

სა-მარნ-ე/სა-მან-ე - დასახლებული პუნქტი. გადმოცემის თანახმად, თითქოს იქ იყო მარანი და სამარნე ამიტომ ჰქვია, მაგრამ თუ დავაკვირდებით ძველ ქართულში არის სიტყვა სამანი. სამანი არის საზღვარი, ჩვენ რომ თურქულიდან დარჩენილ სიტყვას ჰუდუდს ვეძახით, ქვას რომ ჩაასობენ აი იმას ერქვა სამანი და ეს მთა სადაც სამანია ოთხ გვარს ანაწილებს, ზედან საზღვარზეა ეს მთა, იქეთ სხვა გვარის მიწებია, აქეთ სხვა გვარის ზუსტად ჰყოფს ამ გვარების მიწებს ერთმანეთისაგან. დიდად საეჭვოა რომ მაქ მარანი, ყურძენი და ღვინო ყოფილიყო. თუმცა, არის ერთი გარემოებაც ამ ადგილის სიახლოვეს არის ერთ-ერთი ტოპონიმი **ნაკათის სერი**, რომელსაც ადრე ქრისტიანულად **თარანგელოს მთას** ეძახდნენ. ანუ ერთი ვარიანტით სამანი იმიტომ ჰქვია, რომ თითქოს საზღვარი იყო იქ და მეორე ვარიანტით, თითქოს ქრისტიანულ კულტურას უკავშირდება. ამათგან რომელია სანდო ამას მეცნიერული შესწავლა სჭირდება, ჩვენ ამას დაზუსტებით ვერ ვიტყვით. აქ წინააღმდეგობაში მოდის ბევრი რამე, თუ ის სამარნე იყო და ამხელა ქრისტიანობის დროინდელია იქ საფლავებს არ გააკეთებდნენ, ხემშიანთების საფლავებია იქ (მთქმელი რამინ შავაძე).

სა-მარილ-ე - საძოვარი. აქ ისეთი ბალახი ხარობს, რომელსაც პირუტყვი მარილივით ლოკავს, აქედან გამომდინარე ადგილსაც შერქმევია სამარილე (მთქმელი მანანა მელაძე).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დიდაჭარის ხეობაში სა-ე აფიქსებით ნაწარმოებ ტოპონიმთა ამოსავალ ფუძედ საკუთარი სახელი არ შეგვხვედრია. გვაქვს სათესლე ყანა, სამარილე გორი.

სა--ო ზემოთ უკვე დამოწმებულია ა. შანიძის დაკვირვება სა-ე და სა-ო პრეფიქს-სუფიქსებით სახელების წარმოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი აზრით, სა-ო-ს მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს. მართლაც, „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეტანილი სა- პრეფიქსი ან სახელთაგან - ო სუფიქსი ახლავს ასამდე გეოგრაფიულ სახელს, ხოლო -ე მხოლოდ სამოცამდე სახელს. განსაკუთრებით ხშირია სა-ო აფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები-დასახლებული პუნქტების სახელები:

სა-ხარატ-ო - ტყე.

სა-კამბეჩ-ო - საძოვარი. ჭოლოიანი ადგილი. ნანული ნოლაიდელი თავის ლექსიკონში ასე განმარტავს „კამბეჩი-კამეჩი ეს ადგილი მართლაც კარგია ზაფხულში კამეჩების საძოვრად, რადგან სიციხის დროს ჭოლოებში წვებიან, ასე იცავენ სიციხისგან თავს. ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი სახელწოდებაც.

სა-მორინყარ-ო, წყარო. ჭაობიანი ადგილი ყოფილა, შიგნით მიწიდან ამედიინება აქვს დანალექი, რაც გამოიყენება საღებავად. (გვაქვს მორი ფერი), მასში შეურევდნენ თხმელის ქერქს, ეწერის ყვავილს, ეწერი არის დონდოლაი, არაჩვეულებრივად შეღებავდა მატყლს მორ ფერზე- ყავისფრად. აი ამიტომ ჰქვია სამორინყარო, ამ სახელწოდებას ფერი მორი განსაზღვრავს (მთქმელი როსტომ ნულუკიძე).

სა-პრეფიქსთან ერთად -ეთ//ათ სუფიქსია გამოყენებული ტოპონიმებში:

სა-ძგვერ-ეთ-ი - სახნავ//სათიბი.

სა-ბძელ-ათ-ი - დასახლებული პუნქტი.

ა. შანიძე საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა სანარმოებელ საშუალებად ქართულში -ეთ სუფიქსს და მის ვარიანტებს ასახელებდა. მ. ტუსკია მხოლოდ საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი აფიქსებით მიღებულ ფორმებად ასახელებს -ეთ, სა-ეთ, -ნარ, -ობ და -ო აფიქსებიან დერივატებს (ტუსკია 1975: 102).

სანვიმარ-ანთ - დასახლებული პუნქტი.

სა-ბად-ურ-ი - სათიბი. ტოპონიმზე სხვადასხვა ცნობებია ადგილობრივ მოსახლეობაში ერთნი ამბობენ, რომ აქ იყო ქვის სამტეხლო, ამბადებდნენ ქვას. აკეთებდნენ ბუხრებს (როსტომ წულუკიძე). მეორენი კი ამბობენ, რომ აქ ქალები გადიოდნენ და ბადეებს ქსოვდნენ. შეიძლება ჰაეროვანი ადგილია, სიცხე არ ანუხებდა ქალებს დასხდებოდნენ და ქსოვდნენ (მთქმელი ნუგზარ შავაძე).

სა-მზი-არ-ი - ტყე//საძოვარი. ორ ადგილას არის გაღმა და გამოღმა, ორივე მთის მწვერვალზეა, რომელსაც დილას ამოსული მზის სხივი პირდაპირ ეცემა. მოსახლეობის გადმოცემით, ეს არი სამი ძმის ზიარი და იმტომ შერქმევიაო, თუმცა მისი ადგილმდებარეობა ისეთია, რომ მზესთან შეიძლება დავაკავშიროთ, ასევე როგორც დიდაჭარა პირველი ქრისტიანული სოფელი საქართველოში თავისუფლად შესაძლებელია რომ ეს იყოს სამებასთან დაკავშირებული, ამას გვაფიქრებინებს ადგილმდებარეობა, რადგან ის მთები თარანგელოს მთის ცოტა მაღლა არის განთავსებული.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული დიდაჭარის ხეობის ტოპონიმური მასალების ანალიზი ცხადყოფს, თუკი სალიტერატურო ენაში ოდენ **სა-** პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელის ფუძისაგან ან არ გვხვდება, ან ძალზე იშვიათია, ხოლო ზმნური ფუძეებისაგან შედარებით პროდუქტიულია, მოცემულ დიალექტურ არეალში უფრო გავრცელებულია **სა-** პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელური ფუძეებისაგან მათ შორის სამ ელემენტისანი **სა-.....-ე -ია** წარმოება (დისიმილირებული ფორმა **სა-.....-ია**), რომელიც ხშირად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში.

§ 2 სუფიქსური წარმოება

2.1. -ურ სუფიქსიანი წარმოება

-ურ ქართული ენის (შეიძლება ითქვას, ქართველური ენების) ერთ-ერთი უძველესი და უპროდუქტიულესი სუფიქსია. არ. ჩიქობავას გამოკვლევით, მისი

თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო სახელის დეტერმინაცია (არნ. ჩიქობავა 1942: 81).

-ურ(//ულ) სუფიქსი წარმომავლობა-კუთვნილებაზე მიუთითებს, ე. ი. გუნდაური, ბაგრატაული, გორგოშაული... ტიპის სახელებში აღნიშნულია გუნდას (გუნდაძის), ბაგრატის, გორგოშას (გორგოშაძის) ჩამომავლობა და მათი კუთვნილი საცხოვრებელი ადგილი. სუფიქსის ეს ფუნქცია აღნიშნულია შ. ნიჟარაძის „აჭარულ დიალექტში“ (მ. ქამადაძე 1992: 48).

-ურ სუფიქსის ფუნქცია თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში ამომწურავადაა ჩამოყალიბებული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“. თუ შევაჯამებთ აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილ მასალას, შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი სფერო -ურ (რ - ნარევი ფუძეებთან -ულ) სუფიქსის გამოყენებისა: იგი არსებით სახელთაგან აწარმოებს რაიმე ნიშანთვისების გამომხატველ ზედსართავეს, ხოლო ადგილთა სახელთაგან და ზმნისართებისაგან - წარმომავლობის სახელებს. ამასთანავე, -ურ გამოიყენება პრეფიქსებთანაც: -ურ სუფიქსი შესაძლოა მიერთოს ადამიანის საკუთარ სახელსაც. იწარმოება: ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში-გვარები: ბ) დასავლეთ საქართველოს დალექტებში - გათხოვილ ქალთა ქალიშვილობის გვარები(ჯორბენაძე ბ. კობაიძე მ. ბერიძე 1988: 396-400). მაგრამ ყურადღება არაა გამახვილებული იმაზე, რომ აღნიშნული სუფიქსი ანთროპონიმთაგან (პირსახელი, მეტსახელი, გვარსახელი) აწარმოებს, ისევე როგორც -ეულ- (გ. ხორანაული 1973) განკუთვნიების, მიკუთვნიების გამომხატველ სახელებს, რომლებიც ხშირად გვხვდება ქართული ენის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტების ტოპონიმურ (განსაკუთრებით მიკროტოპონიმურ) მასალაში. მ. ბერიძე ცალკე გამოყოფს -ურ, -არ, სუფიქსებს და ფართოდ მსჯელობს მათს ფუნქციებზე, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიაში -ურ სუფიქსიანი სახელები „კუთვნილებაზე მიუთითებენ და ანთროპონიმებისაგან იწარმოებიან“, მაგრამ იმავე დროს -ურ(//ულ) სუფიქსი აწარმოებს ოიკონიმებისაგან ახალ ტოპონიმებს „მიმართებით ტოპონიმებს“.

ბასილ-ურ-ი - სათესი.

ბამბიყ-ულ-ი - დასახლებული პუნქტი ხუცურთან ახლოს.

დასილ-ულ-ი - მდინარე. ყიშლაში, ასასვლელზე, ჩამოედინება მდინარე, რომელიც ყოველ გაზაფხულს, ფორმა ნაცვალი აქვს, რადგან მოძრავი მიწაა, ხშირად ისილება, გავლა კი შეუძლებელი ხდება, არავის ახსოვს სოფელში ისეთი გაზაფხული და ზაფხული როცა ამ ადგილს განმენდა არ დასჭირვებოდა, ფაქტია, სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს.

დან-ულ-ი - სათიბი.

შაილ-ურ-ი - სოფლის შესასვლელში ცენტრი.

ჩამილ-ულ-ი - ტყე//სათიბი.

ნიქარ-ულ-ი - დასახლებული პუნქტი.

ხუც-ურ-ი - დასახლებული პუნქტი. **ხუცური** იყო ახლა მეჩქარებას ჩასასვლელი რომ არის იქ ყოფილა პატარა ეკლესია და იმიტომ ეძახიან ხუცურს.

ამრიგად, შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი სფერო -**ურ** (**რ** - ნარევ ფუძეებთან - **ულ**) სუფიქსის გამოყენებისა: იგი არსებით სახელთაგან აწარმოებს რაიმე ნიშანთვისების გამომხატველ ზედსართავეებს, ხოლო ადგილთა სახელთაგან და ზმნისართებისაგან - წარმომავლობის სახელებს. ამასთანავე, **-ურ** გამოიყენება პრეფიქსებთანაც.

2.2 -იან სუფიქსიანი წარმოება

-იან რთული სუფიქსია (←**ივ-ან ან** ← **ევ-ან**). მისი ძირითადი დანიშნულებაა ყოლა-ქონების გამოხატვა. გადააზრების შედეგად შეძენილი აქვს სხვა ფუნქციებიც, რაც დეტალურადაა გაანალიზებული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (214-216). აღნიშნულ სუფიქსს ფართო გამოყენება აქვს ტოპონიმიაშიც. განსაკუთრებით პროდუქტიულია იგი აღმოსავლეთ საქართველოს

მთის რეგიონებში, კერძოდ, ერწო-თიანეთში, სადაც იგი „მხოლოდ მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებში გვხვდება“.

-იან სუფიქსი, წესით, ზედსართავ სახელს უნდა აწარმოებდეს. დიდაჭარის ხეობაში არც ისე ხშირია -იან სუფიქსიანი სახელწოდება. მათი ერთი ნაწილი გამოხატავს ადგილის ნიშან-თვისებას. ასევე რაღაცის მქონებლობას, როგორც ჩვეულებრივ, სახელთა წარმოებაში აღინიშნება.

ჯვრიანი,

ჭიშკრიანი,

ჭალიანი,

ვენახიანი,

ვაზიანი... მაგრამ, თუკი ამოსავალი ფუძე მცენარის სახელია, მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ ამ მცენარის სიმრავლე, კრებითობა იგულისხმებოდეს: ვაშლიანი, მუხიანი, -იან მანარმოებელი ზოგ შემთხვევაში კრებითობაზეც რომ უნდა მიუთითებდეს, ეს შენიშნულია ზემო აჭარის ტოპონიმიურ მასალაზე დაყრდნობითაც.

დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიკაში კი დასტურდება შემდეგი სახელწოდებები:

ციცხ-იან-ი - სახნავ//სათესი. ბალახის სახელწოდება, რომელიც ამ ადგილას ხარობს. შ. ნიჟარაძე განმარტავს ციცხ-ი გამხმარი, გამომშრალი, ხმელი (თამბაქო, ჩალა...).(ნიჟარაძე 1971).

კაჟ-იან-ი - სათიბი.

ლოქორ-იან-ი - დასახლებული პუნქტი. შ. ნიჟარაძე განმარტავს შემდეგნაირად: **ლოქორია** ლოკოკინა (ნიჟარაძე 1971).

მერცხლ-იან-ი - სათიბი.

მორჩვ-იან-ი - სათიბი. შ. ნიჟარაძე ასე მოიხსენიებს: **მორჩვ-ი** „მორწყული სათიბი ითიბება ჩვეულებრივ ორჯერ, აგვისტოსა და სექტემბერში. მეორედ გათიბული და დაბალია და ნორჩი, აღსანიშნავია ე. წ. მორჩვი- მეორედ მოთიბული ნაზი თივა, რომელიც ზრდადასრულებას ვერ ასწრებდა და თართქალი სახით ითიბებოდა“ (ნიჟარაძე 1971).

მ. ქამადაძე წერს: „შემთხვევითი არაა, რომ -იან სუფიქსით გაფორმებული ზოგიერთი სახელწოდება სხვაგან შეიძლება -ნარ//-ნარ-ა ფორმანტითაც შეგვხდეს. თუმცა როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს -ებ აწარმოებს. ეს მისი ძირითადი და თავდაპირველი ფუნქციაა (იშვიათად, გარკვეულ შემთხვევაში იხმარება ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებთან)(მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი: 22).

-იან სუფიქსი, წესით, ზედსართავ სახელს უნდა აწარმოებდეს. დიდაჭარის ხეობაში არც ისე ხშირია -იან სუფიქსიანი სახელწოდება. მათი ერთი ნაწილი გამოხატავს ადგილის ნიშან-თვისებას. ასევე რაღაცის მქონებლობას, როგორც ჩვეულებრივ, სახელთა წარმოებაში აღინიშნება. -იან რთული სუფიქსია (←ივ-ან ან ← ევ-ან). მისი ძირითადი დანიშნულებაა ყოლა-ქონების გამოხატვა. სხვა ფუნქციებიც გადააზრების შედეგად აქვს შეძენილი.

2.3. -ებ სუფიქსიანი წარმოება

-ებ აწარმოებს არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს. ეს მისი ძირითადი და თავდაპირველი ფუნქციაა (იშვიათად, გარკვეულ შემთხვევაში იხმარება ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებთან). როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად (ა. შანიძე 1973: 137-138). ეს ითქმის -ებ სუფიქსიან სახელებზეც, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ფუძით აღნიშნული საგნის სიმრავლეს აღნიშნავდნენ, მაგრამ თანდათანობით გადაიქცნენ იმ ადგილს საკუთარ სახელებად, ანუ ტოპონიმებად, სადაც ამ ფუძით აღნიშნული საგნები მდებარეობენ, იმყოფებიან. -ებ სუფიქსი ზოგ შემთხვევაში გამოხატავს გეოგრაფიული ობიექტის სიდიდეს (და არა მრავლობითობას, კრებითობას).

ზოგიერთი მიკროტოპონიმები თავდაპირველად შტოგვარებს, მეტსახელებს წარმოადგენდა, შემდეგ კი იმ ადგილის სახელები გახდნენ, სადაც ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიაში -ებ სუფიქსი ანთროპონიმული წარმომავლობის შემდეგ გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს:

გობაძე-ებ-ი (გობაძი-ებ-ი) - დასახლებული პუნქტი. სოფლის უხუცესთა გადმოცემით, დიდაჭარის საკრებულოს ერთ სოფელში ცხოვრობდა ხის ჭურჭლის დამამზადებელი მოხელე, მეტსახელად გობა, რამაც შემდეგ მოგვცა გვარი გობაძე. მათ დასახლებასაც ასე ეწოდა, თუმცა შესაძლებელია გობაძეების აქ დამკვიდრებამ განაპირობა სოფლისთვის ამ სახელწოდების შერქმევა. საინტერესოა ისიც, რომ ამავე მუნიციპალიტეტის სოფ. ბელღეთშია ადგილი გობას წყაროსა და გობას სერის სახელწოდებით. ქედლებშია-გობინწყარო, ჭერში-გობვაკე, მახალაკიძეებში-გობიზაი, ვაშაყმაძეებში-გობაიძე, ხიხაძირში-გობაი, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. წელათში-გობიჭალა, ღღვანის უბან მერივლში-გობები, მთა ნაცარაზე-გობა, მაჭახელის ხეობაში გობახევი, ჭოროხისპირა მირვეთში-გობათღელე და სხვა. ცხადია, ისინი ნაწარმოებია ადგილის მდებარეობის მიხედვით, ეს ადგილები ხასიათდება ჩაღრმავებული, მრგვალი ფორმით. გობაძის გვარიდან მიღებული გეოგრაფიული სახელები უფრო აჭარაში დასტურდება (კომახიძე 2010: 501).

ირემაძე-ებ-ი (ირემაძი-ებ-ი) - დასახლებული პუნქტი. ხულო მუნიციპალიტეტის დიდაჭარის საკრებულოს სოფელია. უძველეს დროიდან გაკულტებული ირმიდან მომდინარეობს. ირმის კულტი გამოკვეთილია აჭარაში და მეზობელ იმერხე-ჭანეთშიც, სადაც დამკვიდრებულია ამ ცხოველის სახელიდან მომდინარე გვარები, სოფლები, ადგილთა სახელები. მისი ღრმა კვალი ჩანს ხეკვეთილობასა და ქსოვილთა მოქარგვაშიც. 1886 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. აგარის ჩანგრეული ეკლესიის განმნდისას უნახავთ დასამუშავებლად მომზადებული ირმის რქები. ქედის რაიონის ს. ძენწმანში ბერიძეების სახლში კარის თავს ახლაც ამშვენებს ირმის რქები, რაშიც აქაურები ოჯახის, მოდგმის დაცვას, სიძლიერეს, განმტკიცებას, ბედნიერებას ხედავენ. ასე ყოფილა ოდითგანვე. ირემთან დაკავშირებული სახელი-ირემაულია სოფლებში: ლურტაში, იაკობაძეებსა და ბარათაულში. საირმია-საირმე -

ხიხაძირში, რაქეთაში, ადაძეებში, კალოთასა და დიდაჭარაში, გოდერძის უღელტეხილზე, საირმიალელე კალოთაში, საირმია -მინდიეთში, თხილვანაში, ირმიალა კობალთაში, თხილვანაში, ირმაველი -ნიგაზეულში, ირმის ჩოქია - კარაპეტსა და ფუშრუკაულში, ირმის ჭოლო-ტაბახმელასა და რიყეთში. ბაღდათის რაიონში არის კურორტი, საირმეს სახელწოდებით. ირემი ფიგურირებს ქართულ ზღაპრებშიც და 1995 წელს გამოშვებულ ქართული ფულის ერთეულზე - თეთრიანზე (კომახიძე 2010: 507).

შავაძე-ებ-ი (შავაძი-ებ-ი) - დასახლებული პუნქტი. შავაძეები-შავლიძეები, შავ ფუძიდან მომდინარე უამრავი ტოპონიმია აჭარაში. აჭარის მოსაზღვრე ოლქს ძველთაგანვე შავშეთი ეწოდება და შუამდინარულ წარწერებშიაც არის მოხსენებული. „შავშეთი არს შავთა“, - წერდა თ. ბაგრატიონი თავის ნიგნ-ლექსიკონში. ჩვენს მხარეშია ადგილები-შავაბურა, შავკალო, შავქელი, შავიხიდი, შავნაძენარი, სათესი შავქალა (ცხემლანაში) შავლომა, შავიკილდიძირი, შავი წყარო, შავი ტყე, შავი ტბა, შავი სერი, შავი ღელე, შავი ხევი; ასევე სოფლები: შავაძეები (ხულოს რაიონში) და შავლიძეები (ხელვაჩაურის რაიონში) არის გვარები: შავაძე, შავლიძე, შავიშვილი, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებულია: შავგულიძე, შავდია, ყურშავიშვილი, შავიძე, კობაშავიძე, შავკაციშვილი და სხვ. (კომახიძე 2010: 526).

ხუციაშვილ-ებ-ი - დასახლებული პუნქტი. ხუცუბანი-ხუციაშვილები ქართული სახელწოდებების ცნობილი მკვლევარები - ჰ. ფეინრიხი და ზ. სარჯველაძე თვლიდნენ, რომ ადრე იყო ხუცი, რომელიც შემდეგ მღვდელმა შეცვალა. ხუცესობა ქრისტიანობაში მომსახურების უმაღლეს ფორმად ითვლებოდა, უფროსს, მთავარს, მოთავეს ნიშნავდა (ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები. 235) ხუცის ძირიდან წარმოიშვა საკუთარი სახელები: ხუცა, ხუცია, ხუცუნა, ხუციკა, ხუცაურა, ხუცაური, აქედან წარმოიშვა გვარები ხუციძე (ცაგერის რაიონის ს. აჭარა), ხუციანიძე, ხუციშვილი, ხუციბერიძე, ხუციაშვილი, ხუცურაული და სხვა, ასევე სხვა მრავალი ტოპონიმი.

სოფ. ხუცუბანი ქობულეთის მუნიციპალიტეტშია, ხოლო ხუციაშვილები მოიხსენიება სოფელ ღორჯომის საკრებულოში, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნებულ აჭარის სახკომსაბჭოს ანგარიშებში ხუციაშვილების ფორმითაა მოხსენიებული, აქვეა სათესი

ხუცური, აგრეთვე, ფურტიოში, ვარჯანაულში, ხურციაულები ზედა ახალშენში, ზუნდაგასა და ლურტაში, ხუციქელი-ყინჩაურში, ხუცივაკე-დავლაძეებში, ხუციგორი-ხინოში და სხვა. არცაა გასაკვირი, რადგან აჭარამ, საქართველოს მხარეებს შორის პირველმა, მიიღო ქრისტიანობა, მისი სოფლები ეკლესია - მონასტრებით მოიფინა, გაჩნდნენ ხუცები, რომელთა სახელიდან აწარმოეს აგრეთვე მოხუცი და უხუცესიც.

სოფ. ხუცუბნის ეტიმოლოგიას ასეც ხსნიან: გადმოცემით, აქ ცხოვრობდა ხუცესი სამი შვილით, რომლებიც გამოირჩეოდნენ სიმღერა-გალობით. ერთხელ ერთ-ერთი მათგანი არ ყოფილა გალობაზე, რის გამოც თითქოს უთქვამთ: „ჰაი გიდი ხუცის ბანო“, ე.ი. რას ნიშნავს მისი ხმაო. ხუცუბანს აკრავს ქრისტიანული ტერმინებიდან მომდინარე ტოპონიმები - სამება და თეთროსანი, აქ, ჯათვარიძეთა ეზოშია, ადგილი სახელად ნასაყდრალი. (კომახიძე 2010: 537)

დიდაჭარის ერთ-ერთი მკვიდრი მიხეილ ბოლქვაძე იხსენებს, რომ ჩემ ბავშვობაში მაქვს დიდაჭარის რუკა ნანახი, სადაც ხუცურის ეკლესია იყო დატანილი, თუმცა მას შემდეგ რუკაც აღარ მინახავს ისეთი, ეს ჩემ ბავშვობაში იყო ხულოში, ის რუკა ვნახე. ახლა სადღა არის, ის ინტერნატში იყო, მაშინ ინტერნატი იყო ხულოში.

ვან-ებ-ი - საძოვარი.

ფოშტ-ებ-ი - საძოვარი. ამ ადგილზე ადრე საზღვარი გადიოდა რუსეთ-თურქეთს შორის და სასაზღვრო პოსტები იყო, ერთი ვერსიით. მეორე ვერსიით აქ ადრე ფოსტა იყო, ეს ბუნებრივად დაცული ადგილი იყო ამიტომაც მოსახერხებელი იყო წერილების მოტანა და დატოვება, რადგან უცვლელი ხვდებოდათ და ურიგებდნენ შემდეგ მოსახლეობას, იყო ერთგვარი „იაშიკი“, რომელშიც ჩაჰყრიდნენ წერილებს და შემდეგ დანიშნულების ადგილამდე მიდიოდა, ეს ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაცული საფოსტო ადგილი ყოფილა თავის დროზე (მთქმელი ნოდარ ხობრევაძე). ვფიქრობთ, ძალზე გულუბრყვილო ეტიმოლოგიაა, თუმცა აქაურთა ცნობიერებაში სავსებით გამჭდარი. მათი აზრით, ადგილის სახელწოდებაზე ამ ორ ფაქტს მოუხდენია გავლენა.

ბოკლ-ებ-ი - ტყე/სათიბი. სულხან-საბასთან ვკითხულობთ „ბოკელი რაღც მობოკლვით შემოხვეულია: ოქროს თმა და რაღც ილეკროს აშკი, ანუ ალყა და ძალი

და დვრინი, გინაპური მობოკლვით შექმნილი... (ბოკელს უწოდებენ ცერცვსა, ჳნდურსა, გინა ქორის ბოკილასა... ბოკ(ი)ლი ეწოდების ქორის ფერხთა შესაბამსა. ბოკელს უწმობენ პურსა, მობოკლვით გამომცხვარსა, ბოკელი ეწოდების ჳნდურსა, რომელსა სომეხნი ბაკალსა უწმობენ, სხვილს ცერცვსა“ (ს. ს.ორბელიანი)

ბაღჩი-ებ-ი - სათესი//სათიბი.

ზანტოლლ-ებ-ი - დასახლებული პუნქტი.

წინვ-ებ-ი - საძოვარი//ნაძვის პატარა ტყე.

კოხ-ებ-ი - გამოუყენებელი ადგილი.

პირდაპირ-ებ-ი - ტყე. საინტერესოა, რომ სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, მიუღებელია ზოგადად ზმნიზედასთან იქნას გამოყენებული, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მსგავს გადახვევას აქვს ადგილი. ვფიქრობთ, ეს სახელწოდება ადრე წარმოდგენილი იყო არა ერთი სიტყვით, არამედ შესიტყვებით, შემდეგ ცალი ფორმა ჩავარდა და სახელის მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსი უცალოდ დარჩენილ ზმნიზედასთან გადავიდა.

ამრიგად, -ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები ონომასტიკაში თავდაპირველად შტოგვარებს, მეტსახელებს წარმოადგენდა, შემდეგ კი იმ ადგილის სახელები გახდნენ, სადაც ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიაშიც -ებ სუფიქსი ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს, თუმცა არა მარტო მათ.

2.4-ეთ სუფიქსიანი წარმოება

ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქართულში, მოგვეპოვება ერთადერთი სპეციფიკური ტოპონიმური მანარმოებელი (ე. წ. ტოპო

ფორმანტი): „საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებლად მოიპოვება სუფიქსი -ეთ, რომლის ვარიანტია -ათ. ეს -ეთ შეიძლება გაძლიერებული ქნეს დანიშნულების პრეფიქსით (სა-ეთ). ამ სუფიქსის შესახებ ნიკო მარი წერს: „... ითვლება ქვეყნების, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდებების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნების, სახელწოდებათა მანარმოებლად“ (ცეცხლაძე 2000: 56). -ეთ სუფიქსი აკაკი შანიძეს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სუფიქსად მიაჩნია გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში, იგი „ უშუალოდ დაერთვის სახელის ფუძეს: ტბ-ეთ-ი... განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისაგან იმავე -ეთ-ის საშუალებით გეოგრაფიული სახელები მიიღება: ხევსურ-ეთ-ი...“ ფიქრობენ, რომ ძველ ქართულში გეოგრაფიული სახელწოდებების მანარმოებელი -ეთ და მისი ვარიანტები: -ათ, -ით, -ოთ, -უთ, წარმოშობით მრავლობითობის, კრებითობის მაჩვენებელია (ზურაბიშვილი 1961: 144). ლ. გვენეტაძის აზრით, „-თ(ა) სუფიქსთან ფონეტიკურად ახლოს დგას იმავე ფუნქციით აღჭურვილი -ეთ ბოლოსართი. -თ (-ეთ, ათ)/ი/: ბუ-ეთ-ი..., ლაფ-ეთ-ი, კისორ-ეთ-ი, სოჩხ-ეთ-ი, ნეფი-ეთ-ი, მოზავ-ეთ-ი←მოზავე-ეთ-ი), საფლაფ-ეთ-ი, სვანი-ეთ-ი, ლელვინ-ეთ-ი...“ (გვენეტაძე 1983: 17). უფრო ადრე -თ თანხმონიანი ბოლოსართის წარმომავლობისა და დანიშნულების საკითხებს შეხებიან მ. ბროსე, ნ. მარი, ს. ჯანაშია, ვ. დონდუა, ვ. თოფურია... საბოლოოდ გაზიარებულია ის შეხედულება, რომ -ეთ (და მისი ვარიანტები: - ეთ, -ით, -ოთ, -უთ), რომელიც უძველესი მანარმოებელია გეოგრაფიული სახელწოდებებისა, თავდაპირველად გამოხატავდა მრავლობითობას, კრებითობას (თ. ზურაბიშვილი 1961: 144). ს. ჯანაშია -ათი, -ეთი, -ითი, -ოთი, -უთი დაბოლოებებში ძირეულ ელემენტად გამოყოფდა მხოლოდ -თ თანხმონიანს და მას უკავშირებდა მეგრულ ლექსიკურ ერთეულს: თი 1. ეს -თი არის სახლი, ოჯახი, გვარი, მეთაური 2. -თა სუფიქსი თავდაპირველად წარმოადგენდა მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომელიც თანდათანობით ადგილის სახელთა მანარმოებლად იქცა (ს. ჯანაშია 1959: 152).

ველ-ათი - საცხოვრებელი და სათიბი.

კერ-ათი - სათიბი.

მეჩხერ-ათი - სათიბი. სულხან-საბა-მეჩხერი (მეჩხერათი), იშვიათ(ი) იშვიათად.

სიზმარ-ათი - საძოვარი.

ტყემალ-ათი - საძოვარი.

ფიჭვ-ათი - საძოვარი. ადრე ამ ადგილას ყოფილა ბევრი ფიჭვი, თუმცა დროთა განმავლობაში გაჩეხილა და დღეს ვერცერთ ძირ ფიჭვს ვეღარ ვპოულობთ, უკვე კონხარია, მაგრამ სახელწოდება მაინც უცვლელად რჩება, ასაკოვანი ხალხი კი ამბობს, რომ თავად სიტყვა გვანჯდის მის ეტიმოლოგიასო.

ღმ-ათი - საძოვარი.

ყორვან-ათი - საძოვარი.

შლეგ-ათი - სათიბი.

ბოსტან-ათი - სათიბი//ხილის ბაღია.

დამპალ-ათი - სათიბი.

ტოპონიმიში ფიქსირებული -ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ დაბოლოებიანი ადგილის სახელებში ძირითადი მანარმოებელი უნდა იყოს -თ, რომელიც სემანტიკურად უკავშირდება კოლხურ თი-ს. როგორც უკვე აღინიშნა, -ით დაბოლოების სუფიქსობა საეჭვოდაა მიჩნეული. „მორფემების ლექსიკონში“ მითითებულია, რომ იგი მანარმოებლად ივარაუდება ერთრიგის ტოპონიმებში ე.ი. „ივარაუდება“ და არა „წარმოადგენს“ ან „დაერთვის“. გურიის ტოპონიმიში შვიდიოდე ერთეული მოგვეპოვება -ით-ზე დაბოლოებული: ნიგოითი - სოფ. ლანჩხუთის რაიონში და სხვ. თუკი ჩავთვლით, რომ აქ სუფიქსია -თ, მაშინ რაღაა წინამავალი -ი? სახელობითი ბრუნვის ნიშნად მას ვერ ჩავთვლით! შესაძლოა -ით დაბოლოებიანი ეს ტოპონიმები კოლხური წარმომავლობისა იყოს, სადაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძესთანაა შემრდილი და მას დაერთვის -თი.

-თ(ა), -ეთ(ა) სუფიქსები დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიში ძალზე იშვიათია, განსხვავებით ზოგადად ზემო აჭარის ტოპონიმიისა. მ. ქამადაძე რამდენიმე სახელწოდებას ასახელებს: ბოვ-რეთა, კობალთა, სხალთა, ქვაბთა, ხრამთა (მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი: 26). ზოგი -თა დაბოლოებიანი ტოპონიმი წარმომავლობით, ალბათ, საზღვრულდაკარგული შედგენილი სახელია (შდრ.

სხალთა ვაკე-შეფენება სოფ. შრომის უბანში). შედარებისათვის ურიგო არ იქნება გავისენოთ, რომ -თა დაბოლოება პროდუქტიულია ზემო იმერეთის ტოპონიმიაშიც.

-ენტ მრავლობითი რიცხვის რთული სუფიქსია. გამოიყენება გვარსახელებში, გავრცელებულია რაჭულში (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე მ. ბერიძე 1988: 150) დასავლეთ საქართველოს სხვა დიალექტებში იშვიათია, კერძოდ, ზემო იმერეთის ტოპონიმიაში ფიქსირებულია ერთადერთი სახელწოდება ამ სუფიქსით (სალიენთი), იშვიათია იგი ზემო აჭარის ტოპონიმიაშიც (მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი: 50)

დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიდან შეგვიძლია დავასახელოთ:

ხუციენთი,

ცეცხლიენთი;

შდრ. ოსმანიენტ სერები,

ჰაითიენტ ღელე...

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, -ეთ, როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, თუმცა ზოგადად ზემო აჭარაში არის ჩვეულებრივი და გავრცელებული სახეა გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებლებისა, მაგრამ დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიაში ნაკლებ პროდუქტიულია. ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელს. ძირითადად გართულებულია -ათი, -ეთი, -ითი, -ოთი, -უთი. ამ დაბოლოებებში ძირეულ ელემენტად გამოიყოფა მხოლოდ -თ თანხმოვანი და მას უკავშირდება მეგრული ლექსიკური ერთეული თი 1. ეს -თი არის სახლი, ოჯახი, გვარი, მეთაური. 2. -თა სუფიქსი თავდაპირველად წარმოადგენდა მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომელიც თანდათანობით ადგილის სახელთა მანარმოებლად იქცა.

2.5 -ნარ სუფიქსიანი წარმოება

რთული შედგენილობის სუფიქსი -ნარ (-ნ მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია, -არ - კრებითობისა) ფართოდაა გავრცელებული სალიტერატურო ქართულსა და ქართულის დიალექტებში. იგი აღნიშნავს ფუძით გამოხატული საგნის

კრებითობას, ერთობლიობას. ამოსავალი ფუძეა არსებითი სახელი, უპირატესად, მცენარეთა, იშვიათად – ნიადაგის ნაირსახეობის აღმნიშვნელი ტერმინები. **-ნარ** ინვეს ფუძის კუმშვას და კვეცას. **რ-** ნარეფ ფუძეებთან მისი ფონეტიკური ვარიანტია **-ნალ** (ბ. ჯორბენაძე: 316)

დიდგულ-ნარ-ი - ტყე.

თხილ-ნარ-ი - სათიბი//ტყე. აქ ველური თხილია გაშენებული, სახელწოდებაც ამაზე მიგვანიშნებს.

ლეკ-ნარ-ი - ტყე. ადგილობრივების გადმოცემით, ამ ადგილს ლეკნარი იმიტომ ჰქვია, რომ ტყის ნახევარი ნაწილი ლეკის ხეების ტყეს უჭირავს.

იეილ-ნარ-ი - ტყე. აქ ხარობს იელების ბუჩქნარი, ეს იელები კი გაზაფხულზე პირუტყვს წამლავს, რის გამოც ადგილობრივებს მაქ პირუტყვი საბალახოდ არ მიჰყავთ, ამ გარემოებიდან გამომდინარე შერქმევია იეილნარი.

ვერხვ-ნალ-ა - ტყე//საძოვარი

მაგალითებიდან ჩანს, ზოგ შემთხვევაში **-ნარ** აღნიშნავს არა კრებითობას, ერთობლიობას, არამედ **-იან** სუფიქსის მსგავსად ქონებას: მამულნარი ნიშნავს მამულიან ადგილს და არა მამულს, ასევე: ბალნარი ბალიანი ადგილია, ტალახნარი ტალახიანი ადგილია და სხვ.

ერთი გარემოება: **-არ** ბოლოკიდურიან ტოპონიმებში, როგორიცაა კურკანტლარი, მამულარი, ი. მეგრელიძე გამოყოფს ლაზურ-მეგრული სუფიქსს **-არ**, რომელიც, როგორც ა. შანიძეს აქვს გამორკვეული, გამოხატავს წარმომავლობას, იგი წარმოადგენს ქართული **-ელ**, **-ურ** სუფიქსების სემანტიკურ ეკვივალენტს. როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდან ხდება ცხადი, ეს **-არ -ნარ** სუფიქსის ნაშთია: თავკიდური **ნ** იკარგება ფუძისეული **ლ** ან **რ** თანხმოვნების მეზობლობისას. რთული **-ოვან** სუფიქსი (**←ოვ+ან**) დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს ზედსართავს და აღნიშნავს რაიმე ნიშან-თვისებას.

ამრიგად, **-ნარ**, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სახელწოდებაში იჩენს თავს, აღნიშნავს არა მარტო კრებითობას, ერთობლიობას, არამედ **-იან** სუფიქსის მსგავსად ქონებასაც.

2.6 -ე -ა სუფიქსიანი წარმოება

-ე -ა მრავალფუნქციანია. იგი პრეფიქსიცაა, სუფიქსიც, სუფიქსი-მორფემოიდიც, ე.წ. პროსოდული ხმოვანიც და სხვ. გვხვდება როგორც ზმნურ, ისე სახელურ ფორმებთან. ყოველივე ეს დანვრილებითაა აღნუსხული „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ორი განმარტება ამ სუფიქსისა: 1) -ა სახელადი სუფიქსი, რომელიც გამოხატავს რისამე მწონებლობას... გამოყენებული არის გეოგრაფიულ სახელებშიც (ტოპონიმებში): თხილიანა, ნოღელა.. 2) -ა სუფიქსი, რომელიც აწარმოებს სახელის კნინობით - სააღერსო ფორმას. დაერთვის 1. საზოგადო სახელებს: ქალა, დედოფალა... 2. საკუთარ სახელებს: ნოდარა, მერაბა, სიმონა..(ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988: 14).

შევნიშნავთ, რომ თავისუფლად შეიძლება -ა აფიქსის ფუნქციათა ჩამონათვალში ცალკე შეტანილიყო მისი ონომასტიკური დანიშნულება – საზოგადო სახელის გადაქცევა საკუთარ სახელად-ტოპონიმად ან ანთროპონიმად.

ტოპონიმთა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი

§1. მარტივი, უაფიქსო სახელები

პ. ცხადაია ტოპონიმთა წარმოშობის ორ ძირითად გზაზე მიუთითებს: საზოგადო სახელის გადაქცევა საკუთარ სახელად და საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა წარმოება. მკვლევარი იმონებს ა. შანიძის თვალსაზრისს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „ყოველგვარი წარმოების საკუთარი სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“ (ცხადაია 1985: 22; შანიძე I.1953: 139-140). პ. ცხადაია სპეციფიკური (საგანგებოდ ტოპონიმთა საწარმოებლად დანიშნული) ფორმანტების ანუ ტოპოფორმანტების საშუალებით ტოპონიმთა წარმოებას ტოპონიმიკურ აფიქსაციას, ხოლო საზოგადო სახელთა გადასვლას საკუთარ სახელთა კლასში **ტოპონიმიკურ კონვერსიას** უწოდებს. ორივე ერთად, მკვლევრის აზრით, გვაძლევს ტოპონიმიკურ სიტყვანარმოებას (ცხადაია 1985: 22-23).

ამ ტერმინს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტოპონიმიზაციის მნიშვნელობითაც იყენებენ. პ. ცხადაიას თქმით, ტოპონიმიკური კონვერსია გულისხმობს საზოგადო სახელის გადასვლას ტოპონიმის განრიგში, საგანგებოდ ტოპონიმიკური აფიქსაციის გარეშე (ცხადაია 1988: 111).

ტოპონიმიკური კონვერსიის სამი სახე გამოიყოფა: სემანტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური. სემანტიკურ კონვერსიას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა საზოგადო სახელი უშუალოდ, აფიქსაციისა და სიტყვათშეერთების გარეშე, სტრუქტურის შეუცვლელად გადაიქცევა საკუთარ სახელად. სემანტიკური კონვერსიის გზით წარმოქმნილ ნებისმიერ გეოგრაფიულ სახელწოდებას, პ. ცხადაიას აზრით, პირველადი სახელი შეიძლება ეწოდოს (იქვე: 23-24). თქმულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ დიდაჭარის ხეობაში მოძიებული გეოგრაფიულ სახელები: „ხევი“, „სერი“, „ყანა“ „ჭალა“ და სხვა მსგავსი საზოგადო სახელები. ამ უკანასკნელთა გავლილი გზა უფრო ასეთია: საზოგადო

სახელი - „ტოპონიმიზაცია“. ამ შემთხვევაში გეოგრაფიული ობიექტის სახელი უშუალოდ აპელატივისაგან არის ნაწარმოები და მისი იდენტური ფორმისაა (იქვე: 92).

სიტყვა, რომელიც გარკვეულ, კონკრეტულ ობიექტზე მიუთითებს და, მაშასადამე, ტოპონიმის მნიშვნელობა აქვს მიღებული, გარეგნულად უცვლელიც რომ იყოს და ეტიმოლოგიური შინაარსიც რომ ჰქონდეს შენარჩუნებული, სინამდვილეში მონყვეტილია თავის პირვანდელ - ტოპონიმამდელ მნიშვნელობას. მაგალითად, ვაკე, ჭალა, ტბა... აღნიშნავენ კონკრეტულ გეოგრაფიულ ობიექტებს, და არა საგანს (შდრ. საზოგადო სახელად გაგებული ვაკე, ჭალა, ტბა, რომელთათვისაც ამ შემთხვევაში არსებითი იქნება ობიექტი - საგნის - საერთოდ, „ვაკის“, „ჭალის“, „ტბის“ აღნიშვნა). ტოპონიმთა ამ სპეციფიკიდან გამომდინარეობს სწორედ ის, რომ გაუმართლებელია მათი თარგმნა. ტოპონიმში ტოპონიმამდელი მნიშვნელობის შენარჩუნება იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად ნათელია თვით ტოპონიმის ან ტოპონიმში შემავალი სიტყვის სემანტიკა და რამდენად ხშირად იხმარება ეს სიტყვა, როგორც საზოგადო სახელი. ბუნდოვანია ბევრი ტოპონიმის სემანტიკა. ხშირად ტოპონიმამდელი მნიშვნელობა შეიძლება მცდარი დასკვნის საფუძველი გახდეს. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია დადგენილი და აღიარებული, ყველაზე ძველ ფენას გეოგრაფიულ სახელებში მარტივფუძიანი სახელები ქმნის. მარტივფუძიანი ტოპონიმები, თავის მხრივ, სამ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს. კერძოდ, ტოპონიმის ფუძეში შეიძლება წარმოდგენილი იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი ან მიმღეობა. ტოპონიმთა სტრუქტურულ ანალიზს სწორედ ამ კუთხით წარმოვადგენთ.

აღნიშნულ საკითხს ეხება თავის საკანდიდატო დისერტაციაში ლუიზა გვენეტაძეც. მისი აზრით, „ტბა, წყარო, ქედი, ციხე, ჭალა და ა. შ., საზოგადო სახელებია, რომლებიც გარკვეულ ობიექტებს აღნიშნავენ. ასეთ სახელებს... უჭირავთ საშუალო ადგილი საზოგადო სახელთა კლასსა და ტოპონიმთა კლასს შორის: ისინი არც საზოგადო სახელებია და არც ტოპონიმები... გამოსულნი არიან საზოგადო სახელთა კლასიდან, მაგრამ ჯერ არ არიან შესულნი საკუთარ სახელთა კლასში“ (გვენეტაძე 1983: 10-11).

მარტივი სახელების მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი სახელებიენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან, იშვიათად იცვლიან ფორმას, ნაკლებად განიცდიან ფუძისეულ ცვლილებებს და საინტერესო ინფორმაციას გვანვდიან გეოგრაფიულ სახელთა უძველესი ისტორიის შესახებ.

ტოპონიმთა სემანტიკის კლასიფიკაციისას ანგარიში უნდა გაეწიოს სწორედ ტოპონიმის მნიშვნელობას- რას აღნიშნავს ტოპონიმი. ტოპონიმის მნიშვნელობა ობიექტურ სინამდვილეში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტზე მითითებაში მდგომარეობს. უმეტეს შემთხვევაში იმის ჩვენება, თუ რას აღნიშნავს ტოპონიმი, ნათელყოფს მოტივს, რომელმაც შეაპირობა ამა თუ იმ ტოპონიმის არჩევანი (131-132). ტერმინების გეოგრაფიული გავრცელება ყოველთვის არ ნიშნავს თვით საგნების და მოვლენების გავრცელებას, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება გენეზისურ პროცესებს, რაც კვლევის კომპლექსურობას მოითხოვს.

ძველ წერილობით წყაროებში და ლიტერატურულ ძეგლებში ტოპონიმთა დიდი ნაწილი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი. ასეთი ტოპონიმების სემანტიკური მხარე ზოგჯერ დაბნელებულია. დიდაჭარის ხეობის ტოპონიმთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარტივფუძიან სახელებს:

ვანი - საძოვარი.

ტაბი - სახნავი, სათესი.

ტინტე - საძოვარი.

აფრახო - საძოვარი.

დანულ -, სათიბი// ტყე.

ახო, ტყე.

ერდუა - სათესი-გალმიდან რომ გადმოხედავ ზუსტად ჰგავს ერდოს, ერდო არის სახლიდან გაშვერილი აივანი, ჩვენთან ერდო არ არის გამოყენებული, უფრო აღმოსავლეთშია. მიწით მოქსოვნილი აივანია, მოქელებილი. მოცემული ადგილი ადგილი ზუსტად აივანივითაა გაშვერილი სოფლიდან. გალმიდან რომ გამოხედავ, გეგონება ბალკონია სოფლიდან გამოშვერილიო, პაქსაძიებიდან რომ გამოხედავ ეს ადგილი ასე შემადლებულ ბალკონივითაა სოფელზე (მთქმელი რამინ შავაძე).

კვაც-ატ-ი - სახნავ-სათიბი.

კოსოლ-ია - სათიბი//ტყე.

კველო - სათიბი.

მოდული - გამოუსადეგარი ადგილი.

სათარი - ტყე.

საკარე - სათეს//სათიბი. დასახლებული პუნქტი.

ქილისა - სათიბი.

წიფნა - საძოვარი.

ცხავა - ტყე.

წარნაქი - საძოვარი.

ჭოჭე - საძოვარი.

ხრიგინა - სათიბი. მოძრავი მიწაა, რომელიც ხმაურობს აქაური მკვიდრნი ბავშვების მოძრაობას და ხმაურს ხრიგინს უწოდებენ, სავარაუდოდ ადგილსაც შეარქვეს ხრიგინა.

გვერდი - სათესი.

არნავლი - სათიბი//ტყე.

ბაშავრი - სათიბი.

ბასილური - სათიბი. შესაძლოა ტოპონიმი ადამიანის სახელთანაა დაკავშირებული ბასილ.

ონავირა - საძოვარი.

სკვანი - დასახლებული პუნქტი ცენტრიდან მოშორებით.

ფიქალანი - სათესი.

ქობავრი - სათესი

შავავრი - სათიბ//სათესი. ეს მიწები მეპატრონეს (ნორას მამამთილს) თამაშის დროს წაუგია და სამ შარვალზე მიუცია, გაუყიდა (მთქმელი ნორა მელაძე), ხოლო არის მეორე ვერსიაც შავაძეებიდან ქალი უთხოვიათ რომელსაც მოჰყოლია ეს მიწები მზითევში და გვარიდან გამომდინარე შავავრს უწოდებდნენ ქალს შემდეგ კი მის მიწებს შეარქვეს (მთქმელი აკაკი გობაძე).

ჭაპანა - სათიბი.

ხოკავრი - გამოუდგარი ადგილი.

ხოჩელაი - საძოვარი.

მარტივ ფუძიან ტოპონიმები ძირითადად გამოხატულია არსებითი სახელით. გვაქვს ზედსართავი სახელით გადმოცემის შემთხვევები (ვანი, ვაკე, ტინტე, ხრიგინა, წარნაქი...). მარტივ ტოპონიმთა ძირითადი ნაწილი გამჭვირვალეა, ის თვითონ იძლევა ხელშესახებ ცნობას თავის წარმოშობაზე, ახასიათებს გარემოს და მიგვითითებს ამ მხარისათვის დამახასიათებელ მეურნეობაზე, ისტორიულ წარსულზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ მარტივი ტოპონიმების უმრავლესობის წარმოშობა და ეტიმოლოგია ნათელია, მათ გვერდით ბევრია ისეთი სახელი, რომელთა სემანტიკა ჯერჯერობით გაურკვეველია (ტაბი, ტინტე, ჭოჭე...)

დიდაჭარის ხეობის მარტივფუძიანი ტოპონიმები შეიძლება დაჯგუფდეს ჰიდრონიმული და ლანშაფტური ტერმინების, აგრეთვე, ნიადაგის სახეობათა, სამეურნეო დანიშნულების ადგილთა, ცალკეულ ხელოვნურ თუ ბუნებრივ ობიექტთა და ხე-მცენარეთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელების სახით.

ა. ჰიდრონიმთა წარმოქმნაში აქტიურად მონაწილეობს წყლის (წყლიანი) ობიექტის აღმნიშვნელი საზოგადო სიტყვები: წყარო, ტბა, მდინარე და ა. შ.

აქვე მოვიხიშთ ჰიდრონიმულ ტერმინოლოგიას, რაც გამოიყენება დიდაჭარის ხეობის ტოპონიმთა საწარმოებლად:

„ტბა“,

„ღელე“,

„წყარო“,

„ჩხრიალო“...

ბ. ტოპონიმებად დადასტურდა ხე-მცენარეთა სახელები:

„თხილნარი“

„მუხადირი“

„ვენახი“

„პანტიძირი“,

„ფიჭვათი“,
„ცხავა“
„წიფნარი“

გ. ოდენ ანთროპონიმი ფიგურირებს რამდენიმე ტოპონიმში:

„გულოყანა“,
„ბუდის ბირჟა“
„ბასილური“,
„სუნანას ჭოლო“, ...

დიდაჭარაში ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, გვხვდება აღმოსავლური წარმოშობის ადგილთა სახელებიც, რომლებიც ტოპონიმიკაში გზას იკაფავდნენ ოსმალთა ბატონობის პერიოდში, თუმცა მათი წილი კონკრეტულად ამ ხეობის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ფრიად მცირე და უმნიშვნელოა (მაგ. ნაქილისევი, ქილისა-საყდარი).

ა) რელიგიის ამსახველი ტოპონიმია:

დიდაჭარის ტოპონიმიკაში გარკვეული ადგილი უჭირავს რელიგიური წარმოშობის სახელებსაც. თავისი არსებობის მანძილზე ამ მხარის მოსახლეობამ რამდენიმე რელიგია შეიცვალა. კერპთაყვანისცემა ქრისტიანობამ შეცვალა, ხოლო თურქთა ბატონობის პერიოდში - ქრისტიანობა ისლამმა, აჭარის ტოპონიმიკაში დამკვიდრებულია ქრისტიანული სახელწოდებანი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქრისტიანობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს აჭარაში, მაშინ ეს გასაგებია. ის ხომ აჭარაში განუხრელად ბატონობდა XVII საუკუნემდე, ხოლო შემდეგ ისლამის გვერდით განაგრძობდა არსებობას XIX საუკუნის დამდეგამდე. ცხადია, ეს გარემოება ტოპონიმიკაშიც უნდა ასახულიყო, და ასეც იქნა.

გვხვდება რიგი სხვა ქრისტიანული სახელწოდებანი:

„ელიაწმინდა“,
„თარანგელო“,
„ხუცური“,
„ხუციაშვილები“,

„ყვართი“,

„ნაქილისევი“,

„თარანგელოს ყელი“, და ა. შ.

აჭარის მიტაცების შემდეგ თურქმა დამპყრობლებმა გაანადგურეს და დაანგრიეს ამ მხარის მკვიდრთა მამაპაპური ქრისტიანული სამლოცველოები. შესანიშნავი ქართული ხუროთმოძღვრების სტილით ნაგები ქრისტიანული საყდრები ნასაყდრალეზად იქცნენ. დიდაჭარაში არის მაგალითად „ნაქილისევი“.

გ) **სამეურნეო ტოპონიმია** დიდაჭარის ხეობის ტოპონიმია საინტერესო ცნობებს იძლევა ხალხის მეურნეობა-საქმიანობის შესახებ. ადგილთა სახელებში სარკესავით მოჩანს მინათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა და სხვა დარგები.

„ვაზისუბანი“,

„ვენახიბოლო“,

„კალო“,

„კალოსერი“,

„ნალუმვარი“,

„ნაკალოევი“,

„ნაოსპარი“,

„ნაქერალი“,

„ნავენახევი“,

„სამარნე“(სამანე), მიგვითითებს იმაზე, თუ რა და რა

კულტურები მოჰყავდათ წინათ დიდაჭარის მკვიდრთ. თურქთა ბატონობის შავბნელ ხანაში უკიდურესად დაეცა და განადგურდა ამ მხარის სოფლის მეურნეობის ეს სიამაყე და დოვლათი ვაზი. „დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, - წერდა თ. სახოკია, - რომ მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისთვისაც ამოუკვეთნია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასლა მონშობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა“ (თ. სახოკია 1950: 174). თურქთა მძლავრობამ და ისლამმა ვენახი „ნავენახევი“ აქცია, ხოლო მარანი „ნამარნევი“. ასევე შევიდა ეს სახელები ტოპონიმიაში.

გ). ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები

ტოპონიმები რომელნიც ადგილის რელიეფს აღნიშნავენ.

წყალი და წყალთან სიუხვე უნდა იგულისხმებოდეს იმ ლექსიკურ მასალაშიც, რაც საფუძვლად უდევს მერეს ტიპის საკუთარ სახელებს (მერისი, მერეთი, მერია). მერე წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს ეწოდება (მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს. ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, რომ ასეთი ვაკე ადგილები ნაყოფიერი იყო. გავიხსენოთ ვახუშტი ბატონიშვილის საყურადღებო ეთნოგრაფიული ცნობა: „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი და გემოიანი და სპეტაკი“ (ონომასტიკა 1987: 75).

ვანი - ანდრონიკაშვილი ვ ა ნ სიტყვის საშუალო ირანულიდან შემოსვლაზე წერს: „იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს თითქმის იდენტური ფონეტიკური სისტემები აქვთ, მსგავსი სიტყვების შესახებ არ შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, ისინი უშუალოდ არიან შემოსული ქართულში, თუ სომხურის მეშვეობით. ქართულსა და სომხურს ამ შემხვევაში ერთგვარი შესაძლებლობები აქვთ საშუალო-ირანულ ბგერათა გადმოსაცემად. საშუალო ირანულში ვ ა ნ ი წარმოდგენილია vahen ვაჰან ფორმით ([9] 168). „საშუალო სპარსული h გადმოცემულია ჰ და ხ თანხმობით. მეტწილ შემთხვევაში კი იკარგვის“ ([9] 214). ქართული ტოპონიმია საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ამ სიტყვის შემოსვლის პროცესს.

საგულვებელია, რომ განვითარების ხანგრძლივ პროცესში, საკუთრივ ქართულ ენაში ჭალა სიტყვის შინაარსი გაფართოვდა და იგი მდინარის გასწვრივი, მიმდებარე ადგილების აღმნიშვნელიც გახდა (ნ. კეცხოველი). უფრო მეტიც, იგი იქცა იმავე ადგილებში მდებარე ტყეების აღმნიშვნელ სპეციალურ სახელადაც (ჭალა, ჭალაკი). აქაც საიმედოა საბას მოკლე და ზუსტი განმარტება: „ჭალა-წყლის პირი ნაყოფიერი“. ნაყოფიერებისათვის ხაზგასმა აქ სავსებით კანონზომიერია, რადგან, როგორც ეს ეთნოგრაფიული ყოფის მონაცემებითაც დასტურდება, ყველა წყლის (მდინარის) პირი ადგილი ჭალად არ ითქმის და ასეთში იგულისხმება მხოლოდ ისეთი წყლიანი გარემო, რომელთანაც ადამიანს უხსოვარი დროიდან სამეურნეო კონტაქტი აქვს. არქეოლოგიურადაც დადასტურებულია ხეობათა დაბალი, მდინარის გასწვრივი სარტყლების სამეურნეო სიკეთე, რაც ალუვიური ტერასული დანალექების სიუხვით

აიხსნება. ამდაგვარი მოვლენები ცხოვრების ხეობური წესისათვის არის დამახასიათებელი და იგი საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ჩანს.

წყლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები არსებითი სახელის თავდაპირველი შინაარსი: სიტყვაში ჭალა ძირეული ენობრივი მასალა აშკარად წყალს უკავშირდება (ქართველურ ენებში წ და ჭ ბგერების ურთიერთმიმართების კანონზომიერება სპეციალურ ლიტერატურაში ადრევეა დადგენილი). ჰიდრონიმიულ წარმოშობის ქართულ ტოპონიმებში, ბუნებრივია, არსებობს წყალთან უშუალოდ დაკავშირებული სახელები. სიტყვა წყალში ყ ბგერა შემდეგ განვითარებული ჩანს. ძირეულია წ-ალ-ი, სადაც, თავის მხრივ, ალ სუფიქსური წარმოშობისაა და, ამდენად, ძირისეულ მასალად რჩება საკუთრივ ბგერა წ (არნ. ჩიქობავა 1942: 44). საყურადღებოა სვანურში მდინარის აღმნიშვნელი კომპოზიტივი წარმოების სახელწოდებებში ჭ ა ლ ა კომპონენტის არსებობა (მულახ-ჭალა, მესტია-ჭალა...).

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, რომ ტერმინი რ უ ქართულში ირანულიდან უნდა იყოს შემოსული არა უადრეს ჩვენი წ. აღ. VIII-IX საუკუნეებისა. ასეთი დაეჭვების რეალურ საბუთად იყენებენ შესაბამისი გეოგრაფიული სახელის (რუისი) ბევრად ადრე არსებობას ჩვენში. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტერმინი რ უ მართლაც ადრე იყო შემოსული გარედან, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ სიტყვას ღრმად შეუღწევია სამეურნეო ყოფაში და სასოფლო-სანარმოო პრაქტიკაში წამყვანი მნიშვნელობაც მოუპოვებია. ამ სიტყვიდან ნაწარმოებია ზმნის ფორმაც „დავურუე“ („დავახევეს“, „დავენაკადლეს“ მსგავსად), რასაც ვერ ვხვდებით წყალთან დაკავშირებულ ირანული წარმოშობის სხვა სიტყვებში (ბულაყი, ქანქანა და სხვ.).

დ) ტოპონიმები სხვადასხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობა - გამოყენებაზე მიუთითებენ:

თხილნარი, სათიბი//ტყე

იფილნარი, ტყე

კაჟიანი, სათიბი

ლევნარი, ტყე

მორჩვიანი, სათიბი

ნალუმვარი, საძოვარი

ნაოსპარი, დასახლებული პუნქტი

ნაინვარი, სათიბი

ნაქერალი, ტყე

ნავენახევი, სათიბი

სამორინწყარო, წყარო

ე). ტოპონიმი აღნიშნავს ადგილს, სადაც ესა თუ ის ცხოველი ბინადრობს.

ბულაური ბულა ხარის შესატყვისია, ირანულში ღვთაებას, კოსმიურ ცეცხლს, ნათებას, ძალას უთანაბრდება.

ბულაური სოფელია ხულოს რაიონის დიდაჭარის საკრებულოში, ხოლო აქვე ს. ხუციაშვილები, საციხურსა და ვანაძეებში ადგილებია. ბულარეთი-ტუნაძეებში, ბულნარი-ქედის რაიონის მეზობნაში, ბულრათა-ქობულეთის რაიონის ჭახათის საკრებულოს უბან-დიდვაკეში. აჭარაში ასევე არის ადგილთა სახელი ბულის ტბა, რაც ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშიც დასტურდება. იგი ბულაურას, ბულაშენის, ბულიანთისა და სხვათა ფორმით, ფიქსირებულია ხაშურის, ახალქალაქის რაიონებში, ზემო იმერეთსა და ქიზიყში.

„სახბოვრია“

ე). გზისა და გზის ნაწილთა ამსახველი ტოპონიმები:

გზიებშუა,

გზაქვეში, ცენტრალური გზის ქვედა მხარე.

გვერდათავი, დასახლებულ პუნქტში მოკლე გზა, რომელიც გვერდია სახელწოდებას ფორმის გამო უნდა იყოს შერქმეული.

დიდბურუნი, ეს სახელწოდება მთაშიც არის და ბარშიც, ბურუნი თურქული წარმოშობის სიტყვაა და დიდ მოსახვევს აღნიშნავს.

მირიგზა, სოფელში შესასვლელი ცენტრალური გზა. შ. ნიჟარაძე ასე განმარტავს;

„**მირიგზა-ტყე/სათიბი.** გზა-არის ზომიერი კაცთა სავალი, გზა ეწოდების ზომიერ სავალსა. (სპ. + ქართ. გზა) შარა-გზა; სახელმწიფო გზა; გზატკეცილი (ნიჟარაძე ,1971).

მგზავრები გზა, მთაში ტყეში გასასვლელი მოკლე გზა.

შუაიგზა, საცალფეხო გზა, რომელიც უჩხოს სოფელთან აკავშირებს სოფლის მოსახლეობას, ეს არის ტყიანი ადგილი.

ხ ე ვ ი ც უთუოდ ხ ე ო ბ ი ს შინაარსისაა, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირე ზომისაა. თავდაპირველი შინაარსით ხევიც წყალთან (მდინარესთან) არის დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ სემასიოლოგიურად (ფუძისეული და ძირისეული მასალით) ეს სიტყვა წყალ სიტყვასთან სიახლოვეს ამჟღავნებს ზოგიბერიულ-კავკასიურ ენაშიც. მეორადი მოვლენა უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე ხევის სოციალურ-ადმინისტრაციული და გეოგრაფიულ-ტოპონიმიკური ფუნქცია (ხევი, ხევისთავი, ხევისბერი). სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიულ პროცესში არსებითი მნიშვნელობა მისცემია დასახლებისა და განსახლების ჩვენი ქვეყნისთვის შესაფერსა და შესაბამის ფორმას - „ხევისპირულობას“ (ნ. ბერძენიშვილი).

§2. კომპოზიტიური სახელები ტოპონიმებში

კომპოზიტიური სახელი აკაკი შანიძის მიხედვით, ეწოდება „ორი ან მეტი დამოუკიდებელი ფუძისაგან შედგენილ ერთ სიტყვას. იგი წარმოიქმნება ორნაირად: ერთი და იმავე სიტყვის გაორკვევით და სხვადასხვა სიტყვების შეერთებით“ (შანიძე 1973: 149).

არნოლდ ჩიქობავა შემდეგნაირად განმარტავს კომპოზიტიურ სახელს: რთული ფუძე, ანუ კომპოზიტი შედგება ერთზე მეტი ფუძისაგან, ჩვეულებრივ ორისა, იშვიათად სამი ფუძისაგან; შესაძლებელია კომპოზიტი ორი სიტყვისაგან (და არა ფუძისაგან) წარმომდგარიც აღმოჩნდეს (ჩიქობავა 1974: 26).

კომპოზიტები განსაკუთრებულ პროდუქტიულობას იჩენს ტოპონიმიაში. რამდენადაც ტოპონიმია ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგის – ლექსიკოლოგიის შემადგენელი

ნანილია, ამიტომ აკაკი შანიძის მოტანილი განმარტება კომპოზიტის შესახებ მიესადაგება ტოპონიმსაც.

რიგის მიხედვით მსაზღვრელი ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, იშვიათად მეორეზე. მსაზღვრელად შეიძლება იყოს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა. კომპოზიტთა კლასიფიკაციის დროს უპირველესად უნდა გავმიჯნოთ ორი ჯგუფი: ფუძეგაორკვეცებული და ნაირფუძიანი კომპოზიტები.

ტოპონიმის ენათმეცნიერული ანალიზით მიზნად ისახავს დადგინდეს კომპოზიტური სახელების სიხშირე და მონაცვლეობა. ხშირად ატრიბუტული მსაზღვრელი შეეზრდება ხოლმე საზღვრულს, მასთან ერთად გვაძლევს ცნების გამომხატველ რთულ სიტყვას. რიგის მიხედვით მსაზღვრელი ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, იშვიათად მეორეზე. მსაზღვრელად შეიძლება იყოს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა.

მსგავსი წარმოების კომპოზიტები არც თუ ისე იშვიათია დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიაში. მათგან ზოგი ორფუძიანი, ანუ ორშემადგენლიანია, ზოგი- კი სამი:

ახოღელე, ტყე.

ბოდიშის კანაო, (ბოდიშის რე), სარწყავი არხი სახელწოდებაში ამკარად ჩანს რუსული კვალი.

ბრეში ტბა, საძოვარი//ტყე.

გობანყარო, დასახლებული პუნქტი.

დავლია ღელე, სათიბი//ტყე.

დედაბრავლიღელე, პატარა მდინარე. სოფლის შუაგულ ღელეში ერთ კუთხეში გამოდის სამკურნალო აბანო თვალების ტკივილსა, ამ აბანოთი უმეტესწილად სარგებლობდნენ ასაკში შესული ქალები, ანუ აქაური ენით რომ ვთქვათ დედაბრები, აქედან გამომდინარე, მდინარეზე შეურქმევიათ დედაბრავლიღელე.

დინთელათისწყარო, სათიბი

ვეზირდედეს წყალი, საძოვარი

მუსლულის წყარო, წყარო

ნაორმალის წყარო, ტყე//საძოვარი

პოტიკაი ღელეს წყარო, ტყე//საძოვარი

რუზედას წყალი, საძოვარი.

რიკრიკანწყარო, სათიბი.

ფირფიტული წყარო, წყარო.

კოსოლიას წყარო, ტყე//სათიბი

ჩათანიენტო წყარო, წყარო დასახლებულ პუნქტში

ცხავას წყარო, ტყე.

წიახის წყარო, ბაღია,

წორწოტნი კოხის წყარო, გამოუდევარი ადგილი

ჩხრიალოს წყარო, ტყე

ზარმელავრიღელე, საძოვარი//სათიბი ზარმელი აღმოსავლური წარმოშობის სიტყვაა, ქართულად სადილს//საჭმელს უნდა აღნიშნავდეს.

თირიქუაღელე, საძოვარი//სათიბი

კორდიტბა, საძოვარი

მწვანე ღელე, სათიბი

ნადვიძირი ტბა, საძოვარი

კიჭკიჭაი ტბა, ტყე

ავაზნიღუბე, საძოვარი//ტყე. ღუბეს ეტყვიან ჩაღრმავებულ ადგილს, რომელშიც წყალი დგება წვიმის დროს. ამ ადგილის შუაში მინდორია, თანაც ჩაღრმავებულია, როგორც ღუბე, ირგვლივ კი ტყე აკრავს, რაც მნახველს უტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ღუბეში ავაზანი იყოს ჩადგმული, ამას ირგვლივ შემორტყმული ტყეც უწყობს ხელს. „ავაზან-ი მსხვილი ხისაგან გამოთლილი დიდი ვარცლი, რომელიც სოფლის საზოგადო წყაროებთან წინ დგას, მასში წყალი გროვდება პირუტყვის სასმელად; „საძოვრებზე გამომდინარე წყაროებთან საქონლის უკეთ დარწყულების მიზნით შემადღებულ ხის საყრდენებზე ავაზნებს დგამდნენ. ეს გარემოება საძოვრის ტოპონიმიკაშიც ასახულა“ (შ. ნიჟარაძე, 1971).

აბანოყელი, საძოვარი//ტყე. მთაში ასასვლელი სანამ მთაში შეხვალ.

აბანოსხევი, საძოვარი.

ბულავრის აბანო, მდინარის პიზე არსებული რემატიზმების სამკურნალო აბანო.

ახოლელე, ტყე.

ამოსავლიჭალა, სათიბი. სოფლის ასასვლელში მდებარეობს, თან მხოლოდ ჭალებია.

ამოსავლიყანა, სათესი//სათიბი

ახოფერდი, საძოვარი. ახო-საყანური გაკაფული, ტყე-გაყენებული. შ. ნიჟარაძე „ფერდი-ყანა გვერდობში მდებარე ყანა, მამული; ადგილის სახელია ქვემო აჭარაში(ნიჟარაძე, 1971).

ახალშენი, სათესი//სათიბი

ბუდის ბირჟა-დასასვენებელი, თავშეყრის ადგილი. ყველაზე ახალი ტოპონიმი დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიში, ამ ადგილის ახლო მცხოვრებ კაცს ზედმეტ სახელად ერქვა ბუდი, ასაკში რომ შევიდა თავის სახლთან ახლოს გააკეთა მაგიდა ჩამოსაჯდომად. ადგილს ხეები ფარავს სიციხე არ აწუხებთ.

ბერინყარო, მინდორი.კომპოზიტის პირველ ნაწილს სულხან საბა ასე განმარტავს ბერი ხან-მრავალიკაცი. ბებერი, დაბერება, დედაბერი, კაცი, ჯევის-ბერი(საბა 1965).

ბოხრიკა ყიშლა, სათიბი

ბრეში ტბა, საძოვარი//ტყე-არაქართული წარმოშობის ფუძეა ბრეში (კონკრეტულად თურქული) და გახუნებულს(ნაცრისფერს) აღნიშნავს.

ბუმბულაისერი, საძოვარი

გზიებშუა, სათიბი//სათესი

გვერდათავი, სოფელში მოკლე გზა. „თავი-არს ყოველთა ცხოველთა ყელს ზეითი“(ორბელიანი 1965).

გვერდვენახი, სათიბი. გვერდი ადგილია ადრე ვენახი ყოფილა შემდეგ გაჩეხილა, თუმცა სახელწოდება მაინც უცვლელად გვაქვს შემონახული, როგორც ჩანს, მისი ვიზუალური მდგომარეობის გამო არის შერქმეული.

გოდრის მთა, დიდაჭარის მთა. ადრე სეფეთტალი (თურქულად) ანუ გოდრის მთა ჰქმევიდა, ამის მიზეზი კი გოდრებით გადაადგილება ყოფილა.

დიდაჭარა, სოფელი.

დიდჭალა, სახნავი
გობანყარო, წყარო
დიდვაკე, დასახლებული პუნქტი
დიდგულნარი, ტყე
დავლია ღელე, სათიბი//ტყე
დანულისერი, სათიბი
დიდახო, სათიბი
დინთელათის წყარო, სათიბი
ეკლის ყანა (ეკლი ყანა), სათესი//სათიბი
ეზოსერი, ტყე//სათიბი

ვაზისუბანი, ახალი დასახლებული პუნქტი სოფელში. 2000 წელს დიდაჭარის მთაში შუამთობის პერიოდში, პირველად გაიმართა ფეხბურთის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დიდაჭარის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დასახლებული პუნქტების მიხედვით, მოთამაშე გუნდებს შეარქვეს სახელწოდებები, მაგალითად იყო გობაძეების, შავაძეების, ხუციაშვილების, წულუკიძეების უბანი და მათთან ერთად შეიქმნა ახალი სახელწოდება „ვაზის უბანი“, იქედან გამომდინარე, რომ კომუნისტების დროს აქ დარგული იყო ვაზი, ეს სახელწოდება მოსახლეობამ აიტაცა და დღეს უკვე ყველა ვაზისუბანს უწოდებს.

ვაკეჭალა, სათიბი//სასაფლაოები
ვენახიბოლო, სათიბი
ველათისჭოლო, სათიბი
ველათის სერი, სათიბი
ვაკე წიახი, საძოვარი//ბაღი
ვანიგვერდი, სათიბი
ვერხვნალას სერი, ტყე
ვირის საფლაავი, სათესი
ზედაივაკე, სახნავ//სათიბი
ზედაიყანა, სათესი

ზარმელავრი ღელე, სათიბ//საძოვარი
ზომბორი სერი, საძოვარი
თვალთვარი, ტყე//სათიბი
თოფალან ჭალა, ბაღჩა ხეხილის
თოფალანთ ნაძველევი (ნაძელევი), (ან ნასახლარი), დასახლებული
პუნქტი
თელიძირი, სათიბი
თირიქუა ღელე, საძოვარი
იასალიძირი, დამცავი ტყე
კორდი ტბა, საძოვარი
კოკოლაისერი, პატარა მთა, რომელიც მთას გადმოჰყურებს
კილდიძირი, საძოვარი
კიჭკიჭაი ტბა, ტყე
კალოპირა, კალოსერი, დასახლებული პუნქტი
კალიენჭალა, სახნავ//სათიბი
კაუიანის სერი, სათიბი
ლაშიფერდი, საძოვარი
ლეკიძირი, ტყე
მუჯანაძირი, საძოვარი. კოხი ადგილი
მწვანე ღელე, სათიბი, კოხი ადგილი
მუხაძირი, დასახლებული პუნქტი
მერეთავი, სასაფლაოები
მშრალი ღელე, სათიბი
მუსლულის წყარო, წყარო
ნაჭრიდუბე, ტყე
ნაფლატის ყელი, სათიბი
პოტიკაი ღელე, ტყე//საძოვარი. „აქ მოედინება მდინარე, რომელიც ორ
ნაწილად იყოფა. სადაც ორ ნაწილად იყოფა ზუსტად იმ ადგილას ამოდის

წყალი, ასევე არის ადამიანის, ძაღლის და ცხენის ნაფეხურები, ეს ნაფეხურები მკვეთრად არის გამოკვეთილი. ადამიანის ნაფეხური გიგანტური ჩანს, რადგან მოცულობით დიდია. ამ ნაფეხურებს მძიმე ტექნიკით გადაუარეს, თუმცა სახე არ შეუცვლია და დღეს კიდევ შეუცვლელი სახით არის წარმოდგენილი. სახელწოდება შერქმეული უნდა ჰქონდეს მისი ფორმის გამო, პოტიკი განაწილებულს, დაცილებულს ნიშნავს“. (მთქმელი ზია შავაძე)

პანაშუანთ ღუბე, სათიბი

პანტიძირი, ტყე

ოთხზიარი, სათიბი. ოთხი ძმის ზიარი ყოფილა.

რიკრიკა წყარო, სათიბი

რუზელას წყარო, სათიბი

საკირი ხევი, ტყე

სუნანას ჭოლო, საძოვარი

სერიყანა, სათესი

სანჯიმარანთ სერი, დასახლებული პუნქტი

სახბოვრია წყარო, სათიბი

სავარია ღელე, საძოვარი. მთაში ორი ღელე ჩამოდის ერთმანეთის სიახლოვეს ერთს ჰქვია თირიქუა ღელე, მეორეს კი - სავარია ღელე. ეს სავარია ღელე ტერიტორიულად ახლოს არის ლეკნარი ძირთან, სადაც ადრე უზარმაზარი ლეკის ტყე ყოფილა, ვარიის გასაკეთებლად კი იყენებდნენ ლეკის ხეს, აქედან გამომდინარე, ეწოდა სავარია ღელე. მდინარეს თუ შევხედავთ, ის კი არ მიედინება ერთი მიმართულებით, პირიქით მიდი- მოდის, ეს მოძრაობა კი ჰგავს ვარიის რეკვას. სავარაუდოდ, ეს ორი გარემოება განსაზღვრავს ამ მდინარის სახელწოდებას (მთქმელი რამინ შავაძე).

სამი ტბა, ტყე

საქორიქელი, სათიბი

საინწყალი, საძოვარი

სეფეთტალი, ტყე//საძოვარი
სამარილე ყელი, საძოვარი
ტინტიჭალა, სათიბი
ტიალი ფერდი, საძოვარი
უკანჭოლო, საძოვარი
უშურიწყარო, საძოვარი
უზუნჩაირი(უზუნჩაილი), სათიბი- უზუნ თურქულად გრძელს ნიშნავს, ჩაირი კი-
მინდორს.

უკანჭალა, სათიბი
უშური ღელე, საძოვარი
ფიჩხანწყალი(ფიჩხანთწყალი),წყარო//სათესი
ფირფიტული წყარო, მდინარე
ქვაკილდე, ტყე
ქვედაი ვაკე, სათესი
ქაშიჭალა, საძოვარი//ტყე
ქვაკაცა, საძოვარი
ღელეყანა, სათიბი
ღარები სერი, სათიბი. დასახლებული ადგილი, ადრე აქ ხის ღარების
საშუალებით წყალი ჰყოლიათ მოყვანილი (მთქმელი გივი მელაძე).

ღმანიდუბე, სათიბი
გედუგან ყორვანათი, საძოვარი
ყვართი ბოლო, სათიბი//სათესი
ყანაჭალა, სათიბი
ყრალი ტბა, ტყე
ყაიაბაში (ქვა დიდი), სახელწოდება მთლიანად თურქულია; მთავარი ქვა.
შავი ტბა, ტყე
ჩატეხილი ღეფანი, სათიბი

ჩხრიალოს წყარო, წყარო, რომელიც ისე გადმოდის ქვებზე, რომ ყოველთვის ისმის მისი ჩხრიალის ხმა.

ჩაქველი მეზელულები, მინდორი

ჩობანქოფრი, საძოვარი სახელწოდება მთლიანად თურქულია და ქართულად ნიშნავს „კოჭლი მწყემსი“.

ჩაფანიენტ წყარო, წყალი

ცხავას წყარო, ტყე

წიახის წყარო, ბაღჩა//სათიბი

წორწოტნიკობი, გამოუდევარი ადგილი

წიფნარიძირი, საძოვარი

წმინდა კორდი, მინდორი

ღორიწელა, ტყე

ჩიფთჩამი, საძოვარი//ტყე

წყლისსაყარი, სათესი//სათიბი

წითელტალახი, გზა მთაში

ჭალისაგარა, სახნავ//სათიბი არის სოფლის თავეში განაპირად პატარა დასახლება, მაღალ ადგილას მდებარეობს(აგარა ნიშნავს მაღალს). ადრე ჭალები ყოფილა, ხალხის დასახლება მერე მომხდარა, სოფელში როცა გაბეგრდა მოსახლეობა, ამჟამად მინას სათიბად იყენებენ მხოლოდ, ანუ ახლა არის ჭალა სიმალლეზე.

ჭურიპირი, ტყე

ჭანჭახის სერი, საძოვარი

ჭიღუბე, ტყე

გალმა ჭაპანა, სათიბი

ხარიათალი, ტყე

ხიღიწვერთი, დაუმუშავებელი ადგილი

ჯაჯიამერე, საძოვარი

ჰაითიენტ ღელე, მდინარე

სამ კომპონენტური კომპოზიციები:

ლაზოლლების მიწის ნაკვეთები, სოფლის საზღვარი

მხარგაშლილკატარი (ფხარგაშლილკატარი), საძოვარი. მხ→ფხ// [მ]ფხ.

უკანაენისმიერი ფრიკატივი ხ უშუალო მეზობლობაში იმსგავსებს რა წინამავალ წყვილბაგისმიერ მულერ მ-ს, ასიმილაციის შედეგად ვლდებულობთ ქართულისათვის სპეციალურ, ბუნებრივ კომპლექსს ფხ: ფხარი, ფხალი, პირჩამფხობილი, ფხარგაშლილკატარი.

აღსანიშნავია, რომ, როგორც აქ წარმოდგენილი მაგალითებიდან (ფხარი, ფხარგაშლილკატარი...) ჩანს, ასიმილირებული მ-ანი დამსგავსების შემდეგ ინარჩუნებს თავის ადგილს, რასაც ჩვენი აზრით, უნდა განაპირობებდეს ჰარმონიული კომპლექსის (ფხ) შექმნა. ჰარმონიული კომპლექსისაკენ ტენდენციითვე უნდა აიხსნას ისეთი ფორმების არსებობა აჭარაში, როგორცაა: ფხავსი, მიფხავსებული, დაფხავსებული. (შ. ნიჟარაძე 1975: 78-79)

ღორიყანის სერი, ტყე.

ვეზირდედეს წყალი, საძოვარი.

ისმაილ დედეს სათარი, ტყე.

ლეკიძირის სერი, ტყე.

ნადვიძირიტბა, საძოვარი.

პოტიკა ლელეს წყარო, ტყე//საძოვარი.

რუზედასწყარო, სათიბი.

საკირიხევის ლელე, საძოვარი//ტყე.

შხამიან მინდვრის სერი, საძოვარი.

ცხავასათრისბოლო, ტყე.

ცხრამთვარწყარო, დასახლებული პუნქტი.

წორწოტნიკობის წყალი, გამოუყენებელი ადგილი.

წიფლიძირის წყარო, საძოვარი.

წვერგადატეხილი დუბე, სათიბი.

თოფალანთ ბაღჩი თავი, საძოვარი.

ამრიგად, კომპოზიტები განსაკუთრებულ პროდუქტიულობას იჩენს დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიში. ხშირია სუბსტანტურ მსაზღვრელიანი, რომელშიც მსაზღვრელი შემრდილია საზღვრულს და მასთან ერთად გვაძლევს ცნების გამომხატველ რთულ სიტყვას. რიგის მიხედვით მსაზღვრელი ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, იშვიათად მეორეზე. რამდენიმე შემთხვევაში მსაზღვრელად გვხვდება არაქართული წარმოშობის სახელი (უფრო ხშირად თურქული, იშვიათად რუსული). ამ ტიპის ტოპონიმებს ყველაზე გამჭვირვალე შედგენილობა აქვთ.

დასკვნები

დიდაჭარის ხეობაში საკმაოდ მცირეა ოდენ ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმები. მოცე-ული პრეფიქსი გართულებულია -არ//ალ და უფრო ხშირად კი -ევ//ებ სუფიქსებით.

ხეობის ტოპონიმური მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ თუკი სალიტე-რატურო ენაში ოდენ სა- პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელის ფუძისაგან ან არ

გვხვდება, ან ძალზე იშვიათია, ხოლო ზმნური ფუძეებისაგან შედარებით პროდუქტიულია, მოცემულ არეალში პირიქით, უფრო გავრცელებულია სა-პრეფიქსით სახელთა წარმოება სახელური ფუძეებისაგან მათ შორის სამ ელემენტისანი სა-.....-ე -ია წარმოება (დისიმილირებული ფორმა სა-.....-ია), რომელიც ხშირად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში.

-ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები ონომასტიკაში თავდაპირველად შტოგვარებს, მეტსახელებს წარმოადგენდა, შემდეგ კი იმ ადგილის სახელები გახდნენ, სადაც ამ გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიაშიც -ებ სუფიქსი ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს.

შეიძლება გამოიყოს ორი მთავარი სფერო -ურ (რ - ნარევ ფუძეებთან -ულ) სუფიქსის გამოყენებისა: იგი არსებით სახელთაგან აწარმოებს რაიმე ნიშანთვისების გამომხატველ ზედსართავეს, ხოლო ადგილთა სახელთაგან და ზმნისართებისაგან - წარმომავლობის სახელებს. ამასთანავე, -ურ გამოიყენება პრეფიქსებთანაც.

-ეთ, როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებლებისა, ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელს. ხშირად გართულებულია -ათი, -ეთი, -ითი, -ოთი, -უთი დაბოლოებებით. ძირეულ ელემენტად გამოიყოფა მხოლოდ -თ თანხმოვანი და მას უკავშირდება მეგრული ლექსიკური ერთეული თი 1. ეს -თი არის სახლი, ოჯახი, გვარი, მეთაური. 2. -თა სუფიქსი თავდაპირველად წარმოადგენდა მრ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომელიც თანდათანობით ადგილის სახელთა მანარმოებლად იქცა.

კომპოზიტები განსაკუთრებულ პროდუქტიულობას იჩენს დიდაჭარის ხეობის ტოპონიმიაში. უფრო ხშირია სუბსტანტურ მსაზღვრელიანი სახელწოდებანი, რომელშიც მსაზღვრელი შეეზრდება ხოლმე საზღვრულს, მასთან ერთად გვაძლევს ცნების გამომხატველ რთულ სიტყვას. ამ ტიპის ტოპონიმებს ყველაზე გამჭვირვალე შედგენილობა აქვთ. რიგის მიხედვით მსაზღვრელი ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა,

იშვიათად მეორეზე. რამდენიმე შემთხვევაში მსაზღვრელად გვხვდება არაქართული წარმოშობის სახელი (უფრო ხშირად თურქული, იშვიათად რუსული).

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. გვენეტაძე ლ., ოკრიბის ტოპონიმიკა. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი. 1983.

2. დიდაჭარობა, სამეცნიერო კონფერენცია „წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზაზე“, 2008 წლის 2-4 მაისი.
3. ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. ტ. II, თბილისი, 1961.
4. თოფურია ვ., ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან: II -ედ, -ურ, რ აფიქსებისათვის, ენიმკი-ს მოამბე, V-VI, 1940.
5. კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი 1, ბათუმი, 2010.
6. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
7. ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
8. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
9. ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, VI, (1), თბ., 1965.
10. ორბელიანი ს. ს. თხზულებანი, VI, (2), თბ., 1965.
11. ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.
12. ონომასტიკა, 1, თბ., 1987.
13. სულავა ნ., სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია, (სტრუქტურულ-სემანტიკური და ფონეტიკური ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2016.
14. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, ბათუმი, 1958.
15. ქამადაძე მ., აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992.
16. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VIII, თბ., 1992.
17. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. I, თბილისი, 2001.
18. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973
19. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
20. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942 მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, 1973.
21. ცეცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000

22. ცხადაია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი). თბილისი. 1985.
23. ხორნაული გ., -ურ სუფიქსის ფუნქციისათვის მთიულეთის ტოპონიმთა მიხედვით, ჯანაშია ს., მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, III, თბ., 1959.
24. ჯანაშია ს., მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, III, თბ., 1959.
25. ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.